

კონსოლიდირებული ფინანსური  
ანგარიშგება და დამოუკიდებელი  
აუდიტორის დასკვნა

შეზღუდული პასუხისმგებლობის  
საზოგადოება ენგურჰესი

2014 წლის 31 დეკემბერი

# სარჩევი

	გვერდი
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	1
ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება	4
მოგება-ზარალის და სხვა გაერთიანებული შემოსავლების კონსოლიდირებული ანგარიშგება	6
კაპიტალში ცვლილების კონსოლიდირებული ანგარიშგება	7
ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება	8
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები	10

## დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს გრანთ თორნტონ ახვლედიანი  
დავით აღმაშენებლის გამზირი 61  
0102, თბილისი, საქართველო  
ტ.+ 995 322 604 406

Grant Thornton Akhvlediani LLC  
61 David Aghmashenebeli Avenue  
0102 Tbilisi, Georgia  
+ 995 322 604 406  
www.grantthornton.ge

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ენგურჰესის მფლობელებს:

ჩვენ ჩავატარეთ 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარებით მომზადებული შპს ენგურჰესის (“მშობელი კომპანია”) და მისი შვილობილი კომპანიის (შემდგომში “ჯგუფი”) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, მოგება-ზარალის და სხვა გაერთიანებული შემოსავლების კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილების და ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, აგრეთვე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვას და სხვა განმარტებით შენიშვნებს.

*ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებებზე*

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (IFRS), ასეთი პასუხისმგებლობა მოიცავს უნებლიე, თუ განზრახ დაშვებული არსებითი უზუსტობების გარეშე შედგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების მიზნით, შიდა კონტროლის სისტემების შემუშავებას, დანერგვასა და განხორციელებას.

*აუდიტორის პასუხისმგებლობა*

ჩვენი პასუხისმგებლობა ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტის საფუძველზე გაკეთებული დასკვნა აღნიშნულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (IFRS). ამ სტანდარტებით მოითხოვება, რომ დავიცვათ შესაბამისი ეთიკური მოთხოვნები და აუდიტი დავგეგმეთ და ჩავატაროთ დასაბუთებული რწმუნების მოპოვების მიზნით იმის თაობაზე, რომ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებში არ არის რაიმე სახის არსებითი უზუსტობა.

აუდიტი გულისხმობს ისეთი პროცედურების ჩატარებას, რომლებიც გამიზნულია მტკიცებულების მოპოვებაზე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში მოყვანილი თანხების და განმარტებების თაობაზე. შერჩეული მეთოდოლოგია დამოკიდებულია აუდიტორთა მოსაზრებებზე, მათ შორის, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკის შეფასების თაობაზე, მიუხედავად იმისა, იქნება მსგავსი უზუსტობა დაშვებული უნებლიედ თუ განზრახ. იმისათვის, რომ შეიმუშავოს ვითარებისა და გარემოების შესატყვისი პროცედურები, რისკების შეფასებისას აუდიტორი ითვალისწინებს შიდა კონტროლის არსებულ სისტემებს, რომლებიც ქმნის შესაბამის პირობებს ორგანიზაციის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და სამართლიანი წარდგენისთვის, აღნიშნულის მიზანს არ წარმოადგენს მოსაზრების გამოხატვა შიდა კონტროლის სისტემების ეფექტურობაზე. აუდიტი, ასევე მოიცავს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის და სააღრიცხვო შეფასებების სისწორისა და მთლიანად, ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

დარწმუნებული ვართ, რომ აუდიტის პროცესში მოპოვებული მტკიცებულება საკმარის და სათანადო საფუძველს გვაძლევს აუდიტორული დასკვნისათვის.

#### *პირობითი დასკვნის საფუძველი*

ჯგუფმა პირველად 2000 წელს წარადგინა ფინანსური ანგარიშგება ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად. როგორც ცნობილია ფასს 1-ის თანახმად – *ფინანსური ანგარიშგების პირველად წარდგენა ფასს-ის შესაბამისად* საჭიროა აუცილებელი კორექტირებების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში. ჯგუფმა ძირითადი საშუალებების აღრიცხვისთვის გამოიყენა ღირებულებით აღრიცხვის მეთოდი და ძირითადი საშუალებების სამართლიანი ღირებულება განსაზღვრა ინდექსებით საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით №295 “საქართველოს ეროვნული მეურნეობის ძირითადი ფონდების გადაფასების შესახებ”.

სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა, რომელიც აღწერილია ზემოთ არ შეესაბამება სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის პრინციპებს, რომელიც უნდა განისაზღვროს საბაზრო პირობებიდან გამომდინარე.

ძირითადი საშუალების შინაარსიდან და დახასიათებიდან გამომდინარე, ჩვენ ვერ მოვახერხეთ დაგვედგინა ზემოთ აღნიშნულის ეფექტის გავლენა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ჩვენი აუდიტორული დასკვნა წინა პერიოდზე იყო ასევე პირობითი ამ საკითხთან დაკავშირებით.

#### *პირობითი დასკვნა*

ჩვენი მოსაზრებით, გარდა ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზისა, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება სამართლიანად ასახავს შპს ენგურჰესისა და მისი შვილობილი კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებას 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფინანსური შედეგებისა და ფულადი ნაკადების ჩათვლით ამავე

თარიღით დასრულებული წლისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (IFRS).

*მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი პარაგრაფი*

როგორც აღნიშნულია 28-ე შენიშვნაში, ჯგუფი ბოლო პერიოდის განმავლობაში გადიოდა ზარალზე, რის შედეგადაც 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს დაუგროვდა აკუმულირებული ზარალი 14,302 ათასი ლარის ოდენობით (2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 25,757 ათასი ლარი). დამატებით, ჯგუფს გააჩნია ვალდებულება გადაიხადოს არსებული სესხები და აწარმოოს სარეაბილიტაციო სამუშაოები. ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, ხელმძღვანელობამ მიმართა საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროს თხოვნით, სადაც საქართველოს მთავრობას სთავაზობს გადაწყვეტილების რამოდენიმე ალტერნატივას, კერძოდ, ტარიფების რეკალკულაციას, ან არსებული სესხებისგან (EBRD და EIB) გათავისუფლებას. თუ 28-ე შენიშვნაში არსებული გარემოება არ იქნა გადაწყვეტილი, შესაძლოა ეჭვქვეშ დადგეს ჯგუფის მომავალში ფუნქციონირების საკითხი.

ჩვენი მოსაზრება ამ გარემოების გამო არ არის პირობითი.

*Grant Thornton Akhvediani LLC*

შპს გრანთ თორნტონ ახვედიანი  
2015 წლის 19 ივნისი



## ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

ათასი ლარი	შენიშვნები	2014 წლის 31 დეკემბერი	2013 წლის 31 დეკემბერი
<b>აქტივები</b>			
<i>გრძელვადიანი აქტივები</i>			
ძირითადი საშუალებები	4	308,940	279,961
არამატერიალური აქტივები		2	3
ძირითადი საშუალების მშენებლობისთვის გაცემული ავანსები		8,405	14,221
სხვა გრძელვადიანი აქტივები		7	7
		<u>317,354</u>	<u>294,192</u>
<i>მიმდინარე აქტივები</i>			
სასაქონლო მატერიალური მარაგები	5	1,812	2,002
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	8,461	6,109
მიმდინარე მოგების გადასახადის აქტივი		484	256
ფული საბანკო ანგარიშებზე		986	1,458
		<u>11,743</u>	<u>9,825</u>
<b>სულ აქტივები</b>		<u><u>329,097</u></u>	<u><u>304,017</u></u>

## ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება (გაგრძელება)

ათასი ლარი	შენიშვნები	2014 წლის 31 დეკემბერი	2013 წლის 31 დეკემბერი
<b>კაპიტალი და ვალდებულებები</b>			
<i>კაპიტალი და რეზერვები</i>	7		
საწესდებო კაპიტალი		207,918	174,080
დამატებითი კაპიტალი		-	31,876
აკუმულირებული ზარალი		(14,302)	(25,757)
		<u>193,616</u>	<u>180,199</u>
<b>გრძელვადიანი ვალდებულებები</b>			
სესხები	8	103,241	100,201
რესტრუქტურული ვალდებულებები	9	6,520	7,851
გრანტი დაკავშირებული აქტივებთან	10	13,925	11,000
		<u>123,686</u>	<u>119,052</u>
<b>მიმდინარე ვალდებულებები</b>			
სესხები	11	2,158	1,399
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	8	8,216	2,480
რესტრუქტურული ვალდებულებები	9	1,421	781
გრანტი დაკავშირებული შემოსავლებთან	12	-	106
		<u>11,795</u>	<u>4,766</u>
<b>სულ კაპიტალი და ვალდებულებები</b>		<u><b>329,097</b></u>	<u><b>304,017</b></u>

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2015 წლის 19 ივნისს:

ლევან მებონია  
გენერალური დირექტორი



ვალერი კანკია  
ფინანსური დირექტორი

თანდართული 'შენიშვნები 10-46' გამოცემის წარმოადგენს წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

## მოგება-ზარალის და სხვა გაერთიანებული შემოსავლების კონსოლიდირებული ანგარიშგება

ათასი ლარი	შენიშვნა	2014 წლის 31 დეკემბერი	2013 წლის 31 დეკემბერი
შემოსავალი		42,316	30,285
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	13	(17,691)	(19,071)
საერთო მოგება		24,625	11,214
სხვა საოპერაციო შემოსავალი	14	830	540
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	15	(14,234)	(8,635)
სხვა საოპერაციო ხარჯი	16	(599)	(3,311)
შედგენი საოპერაციო საქმიანობიდან		10,622	(192)
ფინანსური შემოსავალი	17	90	41
ფინანსური ხარჯი	17	(648)	(2,101)
სხვა ფინანსური ერთეულები	18	1,391	(5,539)
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადით დაბეგრამდე		11,455	(7,791)
მოგების გადასახადი	19	-	-
წლის წმინდა მოგება/(ზარალი)		11,455	(7,791)
სხვა გაერთიანებული შემოსავალი		-	-
გაერთიანებული შემოსავალი/(ზარალი) საანგარიშგებო წლისთვის		11,455	(7,791)

თანდართული შენიშვნები 10-46 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს



## კაპიტალში ცვლილების კონსოლიდირებული ანგარიშგება

ათასი ლარი	საწესდებო კაპიტალი	დამატებითი კაპიტალი	აკუმულირებული მოგება/(ზარალი)	სულ კაპიტალი
1 იანვარი, 2013	174,080	31,876	(17,966)	187,990
ზარალი წლის განმავლობაში	-	-	(7,791)	(7,791)
გაერთიანებული ზარალი სანაგარიშგებო წლისთვის	-	-	(7,791)	(7,791)
31 დეკემბერი, 2013	174,080	31,876	(25,757)	180,199
მოგება წლის განმავლობაში	-	-	11,455	11,455
გაერთიანებული შემოსავალი სანაგარიშგებო წლისთვის	-	-	11,455	11,455
საწესდებო კაპიტალში გადატანა (იხილეთ შენიშვნა 7.2)	31,876	(31,876)	-	-
სააქციო კაპიტალი	1,962	-	-	1,962
დამფუძნებელთან დაკავშირებული ტრანზაქციები	33,838	(31,876)	-	1,962
31 დეკემბერი, 2014	207,918	-	(14,302)	193,616

თანდართული შენიშვნები 10-46 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

# ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება

ათასი ლარი	2014 წლის 31 დეკემბერი	2013 წლის 31 დეკემბერი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან წლის მოგება/(ზარალი)	11,455	(7,791)
<i>კორექტირებები:</i>		
ცვეთა და ამორტიზაცია	8,784	8,137
ზარალი ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან	260	867
საპროცენტო ხარჯი	648	2,101
ფინანსური შემოსავალი	(90)	(41)
შემოსავალი გრანტი დაკავშირებული აქტივთან ამორტიზაციიდან	(208)	(208)
შემოსავალი გრანტი დაკავშირებული შემოსავლებთან ამორტიზაციიდან	-	(9)
საკურსო მოგება/(ზარალი), წმინდა	(1,391)	5,539
<i>საოპერაციო მოგება სამუშაო კაპიტალში ცვლილებამდე</i>	<u>19,458</u>	<u>8,595</u>
ცვლილება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	(2,501)	599
ცვლილება სასაქონლო მატერიალურ მარაგებში	190	1,411
ცვლილება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	759	114
შემოსავალი გრანტი დაკავშირებული შემოსავლებთან	-	115
დაფარული გრანტი დაკავშირებული შემოსავლებთან	(106)	-
გრანტი დაკავშირებული აქტივებთან	3,133	2,048
<i>ფული საოპერაციო საქმიანობიდან</i>	<u>20,933</u>	<u>12,882</u>
გადახდილი პროცენტი	(2,214)	(1,293)
<i>წმინდა ფული საოპერაციო საქმიანობიდან</i>	<u>18,719</u>	<u>11,589</u>
ფული საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების ყიდვა	(32,206)	(22,503)
ძირითადი საშუალებების მშენებლობისთვის გაცემული ავანსები	-	(2,177)
მიღებული საპროცენტო შემოსავლები	90	41
<i>წმინდა ფული გამოყენებული საინვესტიციო საქმიანობაში</i>	<u>(32,116)</u>	<u>(24,639)</u>

## ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება (გაგრძელება)

ათასი ლარი	2014 წლის 31 დეკემბერი	2013 წლის 31 დეკემბერი
ფული ფინანსირებიდან		
საწესდებო კაპიტალის შეესება	1,962	-
მიღებული სესხები	15,651	16,454
სესხების გადახდა	(3,294)	(2,368)
რესტრუქტურისებული ვალდებულებების გადახდა	(1,169)	(567)
<i>წმინდა ფული ფინანსირებიდან</i>	<u>13,150</u>	<u>13,519</u>
წმინდა ფულის ზრდა/(კლება)	(247)	469
საკურსო სხვაობის ეფექტი	(225)	122
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე პერიოდის დასაწყისში	<u>1,458</u>	<u>867</u>
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე პერიოდის ბოლოს	<u>986</u>	<u>1,458</u>

თანდართული შენიშვნები 10-46 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

# კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები

## 1 ძირითადი საჭმიანობა და ზოგადი ინფორმაცია

შპს ენგურქესი (“მშობელი კომპანია”) დაარსდა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ჯგუფი წარმოადგენს იურიდიულ პირს, რომელიც ოპერირებს მთელი საქართველოს მასშტაბით საქართველოს კონსტიტუციის, კანონისა და კომპანიის წესდების საფუძველზე. კომპანია დაარსდა 1999 წლის 6 ოქტომბერს.

კომპანიის დამფუძნებელი პარტნიორია სახელმწიფო, რომლის უფლებამოსილებებსაც ახორციელებს საქართველოს ენერჯეტიკის საინისტრო, გარდა წილების პრივატიზებისა და/ან განკარგვის უფლებამოსილებებისა, რასაც ახორციელებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. შპს “ვარდნილქესების კასკადი” (“შვილობილი კომპანია”) დაარსდა 1999 წლის 2 ნოემბერს და მის 100%-იან მფოლებს წარმოადგენს მშობელი კომპანია.

კომპანიის ძირითად საჭმიანობას წარმოადგენს ელექტრო ენერჯის გამომუშავება და რეალიზაცია.

კომპანიის იურიდიული მისამართი არის: ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა №8, თბილისი, საქართველო.

შვილობილი კომპანიის იურიდიული მისამართი არის: ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა №8, თბილისი, საქართველო.

## 2 შედგენის საფუძველი

### 2.1 განცხადება შესაბამისობის თაობაზე

აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (“ფასს”) შესაბამისად, შემუშავებული ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ.

## 2.2 ბაანგარიშების საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები მომზადდა ისტორიული ღირებულებების პრინციპზე დაყრდნობით, გარდა ზოგიერთი ფინანსური ვალდებულებებისა, რომლებიც წარმოდგენილია მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებული ღირებულებით.

## 2.3 საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი, რომელიც არის ჯგუფის ფუნქციონალური ვალუტა, რადგან ეს ვალუტა ყველაზე კარგად ასახავს ჯგუფის ეკონომიკურ მდგომარეობას, მის გარშემო არსებულ სიტუაციას და განხორციელებულ გარიგებებს.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები წარმოდგენილია ქართულ ლარში (გარდა განსაზღვრული ნახსენები შემთხვევებისა), რადგანაც ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ეს არის უფრო გამოსადეგი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების მომხმარებელთათვის. ლარში წარმოდგენილი ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია უახლოეს ათასამდე.

## 2.4 შიფასებების და მოსაზრებების გამოყენება

კონსოლიდირებული ანგარიშგების “ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების” (IFRS) შესაბამისად მომზადებისათვის ხელმძღვანელობამ გააკეთა მთელი რიგი შეფასებები, რომელიც გავლენას ახდენს წარმოდგენილი აქტივებისა და პასივების ანგარიშგებაზე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თარიღისთვის, აგრეთვე შემოსავლებზე და ხარჯებზე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში. მნიშვნელოვანი ნაწილები, რომლებიც მოიცავს მაღალი დონის შეფასებასა და მოსაზრებას, ასევე წარმოადგენს ანგარიშგების მნიშვნელოვან ნაწილს, სადაც მოსაზრებები და შეფასებები დიდ გავლენას ახდენს კონსოლიდირებულ ანგარიშგებაზე, წარმოდგენილია მე-20 შენიშვნაში.

## 2.5 ახალი და შესწორებული სტანდარტების ათვისება

ჯგუფმა მიმდინარე წელს მიიღო და აითვისა ყველა ახალი სტანდარტი და ინტერპრეტაცია შემუშავებული საერთაშორისო ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საბჭოსა (“IASB”) და საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტირების კომიტეტის მიერ (“IFRIC”), რომელიც შესაბამისობაშია მის ოპერაციებთან დაწყებული 2014 წლის 1 იანვრიდან.

### ახლად გადახედილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ეფექტურია 2014 წლის 1 იანვრიდან

IFRIC 21 *დაბეგვრა*

IFRIC 21 განმარტავს:

- მოვლენა, რომელიც ვალდებულებას წარმოშობს, ექვემდებარება დაბეგვრას კანონმდებლობის შესაბამისად. თუ მოვლენა საანგარიშგებო პერიოდში მოხდა, უნდა აღიარდეს ამავე პერიოდის კონკრეტულ თარიღში.

- იგივე აღიარების პრინციპები ვრცელდება წლიურ და შუალედურ ფინანსურ ანგარიშგებაში.

IFRIC 21-ს არ აქვს გავლენა წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაზე, მაგრამ მოქმედებს იმ შემთხვევაში, თუ ხდება შუალედური ფინანსური ანგარიშის წარდგენა, გავლენა აქვს პერიოდებში ქონების გადასახადს. აღნიშნული სტანდარტი მოითხოვს, რომ ვალდებულება აღიარებულ იქნეს ვალდებულებად პერიოდის დასაწყისში, როგორც ამას მოითხოვს შესაბამისი კანონმდებლობა.

გამომდინარე იქიდან, რომ ჯგუფმა არ ახდენს შუალედური ანგარიშის წარდგენა, აღნიშნული სტანდარტს არ აქვს ეფექტი ჯგუფი ფინანსურ ანგარიშზე.

დანართი - ფასს 32 *ფინანსური ინსტრუმენტები: წარდგენა* ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთჩათვლა

აღნიშნული დანართი განმარტავს შემდეგ საკითხებს:

- შესაძლებელია თუ არა მიმდინარე პერიოდს ურთიერთჩათვლა
- რა მექანიზმებია საჭირო ურთიერთჩათვლისათვის

აღნიშნული დანართის გამოყენება შესაძლოა რეტროსპექტიულად. გამომდინარე იქიდან, რომ კომპანიას არ გააჩნია ურთიერთგასაქვითი ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, ეს დანართი გავლენას არ ახდენს ფინანსურ ანგარიშზე.

დანართი გამოცემული ფასს-36 – *აქტივების გაუფასურება: არაფინანსური აქტივების გაუფასურების წარდგენა*

აღნიშნული დანართის მიხედვით, ჯგუფმა უნდა წარადგინოს გაუფასურებულ აქტივის (შემოსავლის მომტანი ძირითადი საშუალების) თანხა, გაუფასურების ზარალი უნდა აჩვენოს წლის მოგება-ზარალის ანგარიშში. დამატებითად, ჯგუფმა უნდა წარადგინოს გაუფასურების ღირებულება, როცა იგი გაიანგარიშება აქტივის სამართლიან ღირებულებას დაკლებული გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯით, რომელიც მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:

- დამატებითი ინფორმაცია სამართლიანი ღირებულების განსასაზღვრად, რომელიც მოიცავს შეფასების ყველა კრიტერიუმის და დამატებით სხვა მნიშვნელოვანი ასპექტის წარდგენას;
- დისკონტირების განაკვეთი გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ სამართლიანი ღირებულება ნაკლებია გასაყიდ ღირებულებაზე.

აღნიშნული დანართი გამოიყენება რეტროსპექტიულად.

**სტანდარტები, დანართები და არსებული სტანდარტების ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არაა ძალაში შესული და რომელთა ადაპტირება ჯერ არ მომხდარა ჯგუფის მიერ**

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღისათვის, ახალი სტანდარტები, შესწორებები და არსებული სტანდარტების ინტერპრეტაციები, გამოქვეყნებული IASB-ს მიერ, ჯერ არაა ძალაში შესული და მათი ადაპტირება არ მომხდარა ჯგუფის მიერ.

ხელმძღვანელობა მოელოდა, რომ ყველა შესაბამისი დებულება იქნება დანერგილი ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკაში პირველი პერიოდის დასაწყისში, განცხადების ძალაში შესვლის შემდეგ. ინფორმაცია, ახალ სტანდარტებზე, შესწორებებსა და ინტერპრეტაციებზე, რომლებიც შეესაბამება ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებას, მოცემულია ქვემოთ. სხვა ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც უკვე გამოცემულია, მოსალოდნელია, რომ გავლენას არ იქონიებს ჯგუფის ანგარიშებზე.

**IFRS 9 ფინანსური ინსტრუმენტები (2014)**

საერთაშორისო ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საბჭომ (“IASB”) გამოაქვეყნა თავისი ბოლო ცვლილება IFRS 9 *ფინანსური ინსტრუმენტები* (2014)-თან დაკავშირებით, რომელიც ჩაანაცვლებს IAS 39 *ფინანსური ინსტრუმენტები*: აღიარება და შეფასება. ახალ სტანდარტს შემოაქვს მნიშვნელოვანი ცვლილებები ფინანსური აქტივების კლასიფიკაციასა და შეფასებაზე და შემოაქვს ახალი განსაზღვრება “მოსალოდნელი ზარალი” ფინანსური აქტივების გაუფასურებისთვის. ფასს 9 ასევე აწარმოებს ახალ ჰეჯირების ანგარიშს.

ჯგუფის ხელმძღვანელობამ ჯერ კიდევ უნდა შეაფასოს ეს ახალი სტანდარტი ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაზე. ახალი სტანდარტის მოთხოვნის მიხედვით გამოყენებული უნდა იყოს საანგარიშო წლის დასაწყისში ან 2018 წლის 1 იანვრის შემდეგ.

**IFRS 15 შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული კონტრაქტორებიდან**

IFRS 15 არის სტანდარტი, რომელიც აწესრიგებს შემოსავლის აღიარებას, მან ჩაანაცვლა IAS 18 შემოსავლები, IAS 11 სამშენებლო ხელშეკრულებები და სხვა შემოსავლებთან დაკავშირებული ინტერპრეტაციები. ახალი სტანდარტის მიხედვით შემოსავლები დამყარებულია კონტროლებზე, სტანდარტი დეტალურად განსაზღვრავს, თუ როგორ უნდა ხდებოდეს ფასების ცვალებადობა, მომხმარებლებისგან ანაზღაურების მიღება და სხვა კომპექსური საკითხები.

IFRS 15 ეფექტურია 2017 წლის 1 იანვრიდან. ხელმძღვანელობას ჯერ არ შეუფასებია მისი გავლენა ფინანსურ ანგარიშზე.

ფასს 16 – *ძირითადი საშუალებები* და ფასს 38 – *არამატერიალური აქტივები*: ცვეთიდა და ამორტიზაციის დარიცხვის მეთოდის განსაზღვრა

აღნიშნული დანართის მიხედვით, ფასს 16 – *ძირითადი საშუალებებისა* და ფასს 38 – *არამატერიალური აქტივები* სტანდარტების თანახმად შემოსავალი, რომელსაც ჯგუფი იღებს გავლენას ახდენს მის საოპერაციო სამქინობაზე (ჯგუფის საოპერაციო საქმიანობაში აქტივები მხოლოდ საქმიანობის ნაწილს წარმოადგენენ). როგორც წესი, შემოსავალზე დამყარებული ცვეთის გაანგარიშების მეთოდი ძირითადი საშუალებებისთვის არ გამოიყენება, მხოლოდ გარკვეული შესაფების შემთხვევაში შეიძლება გამოიყენებოდეს არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის გაანგარიშებისათვის.

ჯგუფის ხელმძღვანელობამ ჯერ კიდევ უნდა შეაფასოს ეს ახალი სტანდარტი ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაზე. ახალი სტანდარტის მოთხოვნის მიხედვით გამოყენებული უნდა იყოს საანგარიშო წლის დასაწყისში ან 2018 წლის 1 იანვრის შემდეგ.

### **ყოველწლიური ცვლილებები 2010-2012**

2010-2012 წლებში განხორციელებულმა შესწორებებმა მოახდინეს რამდენიმე უმნიშვნელო ცვლილება რიგ სტანდარტებში, (IFRS). ცვლილებები რომლებიც ეხება ჯგუფს, შეჯამებულია ქვემოთ:

#### *IFRS 13 სამართლიანი ღირებულების შეფასება*

#### **მოკლევადიანი მოთხოვნები და ვალდებულებები**

აღნიშნული დანართის მიხედვით, თუ სავაჭრო მოთხოვნები და ვალდებულებები არის მოკლევადიანი ხასიათის, საწარმო არ არის ვალდებული მოახდინოს მათი დისკონტირება დროით პერიოდში და შესაძლებელია მათი აღრიცხვა ინვოისის ღირებულებაზე დაყრდნობით.

### **ყოველწლიური ცვლილებები 2010-2014**

2010-2014 წლებში განხორციელებულმა შესწორებებმა მოახდინეს რამდენიმე ცვლილება რიგ სტანდარტებში, (IFRS). ცვლილებები რომლებიც ეხება ჯგუფს, შეჯამებულია ქვემოთ:

#### *IFRS 7 ფინანსური ინსტრუმენტების წარდგენა*

- ეს ცვლილება ეხება IFRS 7 *ფინანსური ინსტრუმენტების წარდგენა-ს*, რომელიც ითვალისწინებს ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების გაქვითვას. ეს მოთხოვნა არაა აუცილებელი შუალედური ანგარიშის წარდგენისას. თუმცა, დამატებითი წარდგენა საჭიროა გაკეთდეს, როცა ჯგუფი ახდენს IAS34 *შუალედური ანგარიშის წარდგენის* მიხედვით რეპორტირებს, ვინაიდან ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების გაქვითვამოთხოვება ამ სტანდარტის მიერ.



## 2.6 შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2014 წლის 31 დეკემბრისა და 2013 წლის 31 დეკემბრისთვის შეიცავს შემდეგ შვილობილ კომპანიას:

შვილობილი კომპანია	მესაკუთრე %	ქვეყანა	დაარსების თარიღი	ინდუსტრია	შემოერთების თარიღი
შპს ვარნილჰესების კასკადი	100%	საქართველო	1999 წლის 29 ნოემბერი	ენერგეტიკა	2007 წლის 25 დეკემბერი

## 3 ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პროცედურები

### 3.1 კონსოლიდაციის საფუძველი

*შვილობილი კომპანიები*

შვილობილი კომპანიები არის ის ორგანიზაციები, რომლებიც კონტროლდება ჯგუფის მიერ. კონტროლი ხორციელდება, როდესაც ჯგუფს აქვს უფლებამოსილება, პირდაპირ ან ირიბად დაარეგულიროს ორგანიზაციის ფინანსური და სამუშაო პოლიტიკა ისე რომ, მიიღოს სარგებელი მისი სამუშაო საქმიანობიდან. შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგებები შეტანილია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კონტროლის დაწესების დღიდან კონტროლის შეწყვეტის დღემდე.

ჯგუფის მიერ შვილობილი კომპანიის შესყიდვისას გამოიყენება შესყიდვის მეთოდი. შესყიდული ამოცნობადი აქტივები და ვალდებულებები თუ პირობითი ვალდებულებები, დაშვებული ბიზნესის გაერთიანებისას, აღირიცხება შესყიდვის დღეს არსებული სამართლიანი ღირებულებით, უმცირესობის წილის მოცულობის მიუხედავად.

გუდვილი თავდაპირველად აღირიცხება გადახდილ საფასურსა და ჯგუფის მიერ შეძენილ ამოცნობად წმინდა აქტივებსა და ვალდებულებებს, ასევე მოსალოდნელ ვალდებულებებს შორის სხვაობით. თუ გადახდილი საფასური ნაკლებია შეძენილი კომპანიის წმინდა აქტივების სამართლიან ღირებულებაზე, სხვაობის აღიარება ხდება კონსოლიდირებული მოგება ზარალის ანგარიშგებაში.

წილი, რომელსაც არ ფლობს ჯგუფი წარმოადგენს უმცირესობის წილს. უმცირესობის წილი ანგარიშგების თარიღისთვის წარმოადგენს უმცირესობაში მყოფ აქციონერთა წილს ამოცნობად აქტივებს, ვალდებულებებს და პირობითი ვალდებულებებს მათი სამართლიანი ღირებულებით შესყიდვის დღეს და უმცირესობის წილს კაპიტალის მოძრაობაში შემოერთების დღიდან. უმცირესობის წილი წარმოდგენილია კაპიტალში.

ზარალი, რომელიც განაწილებულია უმცირესობის წილზე არ აღემატება უმცირესობის წილს შვილობილი კომპანიის კაპიტალში, თუ უმცირესობის წილის მფლობელებს არ აქვთ ზარალის გადაფარვასთან დაკავშირებული სხვა ვალდებულება. ყველა ასეთი ზარალი ნაწილდება ჯგუფზე.

*კონსოლიდაციასთან დაკავშირებით გაუქმებული ტრანზაქციები*

შიდა ჯგუფური ბალანსები და ტრანზაქციები, ნებისმიერი არარეალიზებული მოგება და ზარალი, რომელიც წარმოიქმნება შიდა ჯგუფური ტრანზაქციიდან არ არის გათვალისწინებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დროს.

### **3.2 უცხოური ვალუტა**

ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში გადაიყვანება ჯგუფის მიერ შესაბამის საოპერაციო ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. საბალანსო ანგარიშგების თარიღისთვის, ფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული კურსით, რომელიც 2014 წლის 31 დეკემბერს ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 1.8636 ლარს და ერთი ევროსთვის 22656 ლარს (2013 წლის 31 დეკემბერი: ერთი ამერიკული დოლარი 1.7363 ლარი და ერთი ევრო 2.3891 ლარი). გადაანგარიშება არ ხდება არაფულადი ერთეულების, რომლებიც არის ისტორიული ღირებულებით უცხოურ ვალუტაში.

საკურსო სხვაობა გამოწვეული ვალუტის გადაანგარიშებით ასახულია პერიოდის მოგება ზარალში.

### **3.3 ძირითადი საშუალებები**

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებას დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან გაუფასურების ღირებულება. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებების ჯგუფი შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალკე-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

ძირითადი საშუალება, რომელიც გამოიყენება ძირითადი საქმიანობისთვის, ადმინისტრაციული ან გაქირავებისთვის, ან არის მშენებარე მდგომარეობაში, აღრიცხულია მისი თვითღირებულებასა და გაუფასურების ღირებულებას შორის სხვაობით. თვითღირებულება შეიცავს პირდაპირ ხარჯებს, დაყენების/მონტაჟის, პროფესიული მომსახურების ხარჯებს, რომელიც გათვალისწინებულია ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკით. სესხებთან დაკავშირებული ხარჯები კაპიტალიზირდება აქტივის ღირებულებაზე ჯგუფის პოლიტიკით.

მოგება ან ზარალი რომელიც წარმოიშვება აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით მიღებული სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან და აღრიცხულია დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის

შეკეთება-განახლება, აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის საშუალებით, თითოეული აქტივის სასიცოცხლო პერიოდის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც აქტივი შედის გამოყენებაში. აქტივების სასიცოცხლო პერიოდი შემდგენიერად ნაწილდება:

შენობა ნაგებობები	-	40-80 წელი
მანქანა-დანადგარები	-	10-40 წელი
ავტომობილები, კომპიუტერები, ავეჯი და სხვა	-	5-10 წელი

### 3.4 არამატერიალური აქტივები

კომპანიის მიერ შექმნილი არამატერიალური აქტივები, რომელთაც აქვთ განსაზღვრული სასიცოცხლო პერიოდი, წარმოდგენილი თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი.

ამორტიზაციის დარიცხვა ხდება კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშგებაზე წრფივი მეთოდით 5-10 წლის გაანგარიშებით.

### 3.5 სასაქონლო მატერიალური მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგები წარმოდგენილია საბალანსო ღირებულებასა და მის სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სარეალიზაციო ღირებულებად მიჩნეულია ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, დაკავშირებული აქტივის დასრულება გაყიდვასთან. სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით და შეიცავს დანახარჯებს რომელიც დაკავშირებულია აქტივის შექმნასთან და მის არსებული სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან.

### 3.6 სასესხო დანახარჯები

სასესხო დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივების შექმნასთან, მშენებლობასთან, ან შესაბამისი აქტივის წარმოებასთან, კაპიტალიზირდება როგორც ნაწილი ამ აქტივის ღირებულებისა. სხვა სასესხო დანახარჯები, აღიარებულია როგორც პერიოდის დანახარჯები იმ პერიოდისთვის, რომელშიც ისინი მოხდა. კომპანია სასესხო ხარჯების კაპიტალიზირებას აქტივზე, იწყებს იმ დღიდან, როცა დადგება შემდეგი: წარმოიქმნება დანახარჯი ამ აქტივზე, წარმოიქმნება სასესხო ხარჯი და ჩატარდება მოქმედებები ამ აქტივის იმ მდგომარეობაში მოსაყვანად, რათა გამზადებულ იქნას გამოსაყენებლად ან გასაყიდად.

სესხის ხარჯის კაპიტალიზირება წყდება, როდესაც კომპანია წყვეტს ამ აქტივის განვითარებას. სესხის კაპიტალიზირება წყდება, იმ შემთხვევაში, როცა აქტივი მოყვანილია მისი შესაძლო გამოყენების ან გაყიდვის მდგომარეობაში.

### 3.7 ფინანსური ინსტრუმენტები

*ფინანსური ინსტრუმენტების აღიება, შეფასება და ჩამოწერა*

ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება აღიარდება, მას შემდეგ, რაც კომპანია ხდება ფინანსური ინსტრუმენტების შესახებ სახელშეკრულებო დებულების მონაწილე.

ფინანსური აქტივების უარყოფა ხდება მას შემდეგ, რაც ამოიწურება სახელშეკრულებო უფლება ფინანსური სარგებლის მიღების შესახებ, ან როდესაც ფინანსური აქტივი და მასთან დაკავშირებული რისკის მნიშვნელოვანი წილი გადადის სხვა მხარეზე.

ფინანსური ვალდებულების უარყოფა ხდება მას შემდეგ, რაც იგი გაუქმდა, მისი სასიცოცხლო ვადა ამოიწურა ან გაუქმდა.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღირიცხება სამართლიან ღირებულებას დამატებული ტრანზაქციის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები, გარდა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით არის აღიცხული მოგება-ზარალზე.

*ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია*

ფინანსური აქტივები, გარდა ჰეჯირების ინსტრუმენტებისა, დაყოფილია შემდეგ კატეგორიებად:

- სესხები და მოთხოვნები
- ფინანსური აქტივები მათი სამართლიანი ღირებულებით მოგება ზარალზე
- გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები
- ვადიანი ინვესტიციები

ფინანსური აქტივები, მათი საწყისი აღიარებისას ნაწილდება სხვადასხვა კატეგორიებად, შესაბამისად მისი ხასიათისა და დანიშნულებისა. ფინანსური ინსტრუმენტის დაყოფა კატეგორიებად მნიშვნელოვანია გამომდინარე იქიდან, რომ მისი შედეგი შესაძლებელია აისახოს როგორც მოგება-ზარალში, ასევე პირდაპირ კაპიტალზე. იხილეთ შენიშვნა 21 მოკლე შინაარსი ჯგუფის ფინანსური აქტივები კატეგორიებად.

ზოგადად, ჯგუფი ყველა ფინანსურ აქტივს აღიარებს ყოველდღიური აღრიცხვის საფუძველზე. აქტივის გაუფასურების შეფასება ხდება სულ მცირე ერთხელ წელიწადში. ყველა შემოსავალი და ხარჯი, დაკავშირებული ფინანსურ აქტივთან აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში შესაბამის პუნქტად “ფინანსური ხარჯი” ან “ფინანსური შემოსავალი”.

*i. სესხები და მოთხოვნები*

სესხები და მოთხოვნები არის ფინანსური აქტივები, რომლებიც არ კოტირდებიან აქტიურ ბაზარზე და შედგება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისგან, ფული და ფულადი ექვივალენტისგან.

*სავაჭრო და სხვა მოთხოვნები*

მიმდინარე მოთხოვნები თავდაპირველად აღიარებულია მისი სამართლიანი ღირებულებით. შემდგომში ისინი განისაზღვრება, როგორც ამორტიზირებულ ღირებულებას დაკლებული გაუფასურების რეზერვი. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურება წარმოიშევა, როდესაც არსებობს ობიექტური მოსაზრება, რომ ჯგუფი ვერ მოახერხებს მოთხოვნების მიღებას საწყისი პირობების მიხედვით. დებიტორის მნიშვნელოვანი პრობლემები, გაკოტრება და სამართალდარღვევა არის მნიშვნელოვანი ინდიკატორი იმისა, რომ მოთხოვნა გაუფასურდება. გაუფასურების ოდენობა განისაზღვრება აქტივის საბალანსო ღირებულებასა და მომავალი ფულადი ნაკადების, დისკონტირებული ეფექტური განაკვეთით, ოდენობას შორის სხვაობით.

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში რეზერვში ცვლილების ოდენობა აისახება კონსოლიდირებული მოგება-ზარალის ანგარიშგებაზე. ნებისმიერი მოთხოვნის ჩამოწერის ასახვა ხდება არსებული საექვო მოთხოვნების რეზერვის ანგარიშზე. ყველა სავაჭრო მოთხოვნა, რომელიც ივარაუდება, რომ ვერ მიიღება, ხდება პირდაპირი ჩამოწერა და ზარალში ასახვა.

*ფული და ფულის ექვივალენტები*

ჯგუფის ფული და ფულის ექვივალენტები შედგება ხელზე არსებული ფულისგან, მიმდინარე საბანკო ანგარიშებისა და ჩარიცხვის პროცესში მყოფი ფულისგან, რომელიც შედის “სესხებსა და მოთხოვნებში” და კლასიფიცირდება როგორც ფინანსური ინსტრუმენტები.

*ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია*

ჯგუფის ფინანსური ვალდებულებები შეიცავს სესხებს, სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს. ჯგუფის ფინანსური ვალდებულებების შეჯამება კატეგორიების მიხედვით წარმოდგენილია 21-ე შენიშვნაში.

*i. სასესხო ვალდებულებები*

სასესხო ვალდებულებების პირველადი აღიარება ხდება მისი პირველადი ღირებულებით, წმინდა გამოშვების ღირებულებით. საწყისი აღიარების შემდეგ სასესხო ვალდებულებები წარმოდგენილია ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, ხოლო სხვაობა წარმოშობილი მის საწყის ღირებულებასა და ჩანაცვლების ღირებულებას შორის აისახება პერიოდის კონსოლიდირებულ მოგება ზარალის ანგარიშგებაზე. საპროცენტო და სხვა ხარჯები დაკავშირებული სესხთან, აღიარებულ იქნება როგორც ფინანსური ხარჯი, გარდა სასესხო ხარჯისა, რომელიც შესაძლებელია პირდაპირ იქნას მიკუთვნებული შესყიდვაზე,

მშენებლობასა თუ წარმოებაზე, ასეთის არსებობის შემთხვევაში კაპიტალიზირდება როგორც აქტივი.

*ii. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები*

სავაჭრო და სხვა ვალდებულებების თავდაპირველი აღიარება წარმოდგენილია მისი სამართლიანი ღირებულებით, ხოლო შემდგომში ამორტიზირებული ღირებულებით.

**3.8 ბაუფასურება**

*ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების გაუფასურება*

იმ შემთხვევაში, როდესაც შეუძლებელია აქტივის სასიცოცხლო ვადის განსაზღვრა, არ ერიცხება ამ აქტივის ამორტიზაცია და ხდება მისი ყოველწლიური გაუფასურების შეფასება. აქტივები, რომლებსაც ერიცხებათ ამორტიზაცია ხდება მათი გაუფასურების გადახედვა იმ შემთხვევაში, როცა რაიმე სახის ცვლილება მიუთითებს, რომ მისი საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალი მომენტალურად აისახება, როგორც ხარჯი იმ შემთხვევაში, როცა აქტივის საბალანსო ღირებულება აჭარბებს მის ანაზღაურებად ღირებულებას.

ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება, როგორც უდიდესი აქტივის გამოყენებით ღირებულებასა და მის სარეალიზაციო ღირებულებას შორის. თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება შეფასებულია საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებად, მაშინ საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის ხარჯად აღიარება ხდება დაუყოვნებლივ, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აქტივი არის წარმოდგენილი გადაფასებული ღირებულებით და გაუფასურების ზარალი პირდაპირ ამცირებს გაუფასურების რეზერვს.

იმ შემთხვევაში, როცა ხდება გაუფასურების ზარალის შებრუნება, მაშინ აქტივის საბალანსო ღირებულება იზრდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ უნდა აჭარბებდეს საბალანსო ღირებულებას, რომელიც განსაზღვრული იქნებოდა წინა პერიოდის გაუფასურების არ ქონის შემთხვევაში. გაუფასურების შებრუნება დაუყოვნებლივ აღიარდება შემოსავალში, თუ ეს აქტივი არ არის გადაფასებული მდგომარეობით, რა შემთხვევაშიც ნებისმიერი გაუფასურების ზარალის შებრუნება განისაზღვრება როგორც გადაფასების ზრდა.

*ფინანსური აქტივების გაუფასურება*

ფინანსური აქტივები, გარდა იმ აქტივებისა, რომლებიც წარმოდგენილია სამართლიანი ღირებულებით და ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, ხდება გაუფასურების საჭიროების შეფასება საანგარიშგებო პერიოდისათვის. ფინანსური აქტივების გაუფასურება ხდება, როდესაც არსებობს ობიექტური აზრი ერთი ან რამოდენიმე შემთხვევის აღმოჩენისა, რომელსაც აქვს გავლენა ინვესტიციის მომავალ ფულად ნაკადებზე.

ფინანსური აქტივებისთვის, წარმოდგენილი ამორტიზირებული ღირებულებით, გაუფასურება წარმოადგენს აქტივის საბალანსო ღირებულებასა და ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებული მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის სხვაობას. ყველა ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულება პირდაპირ მცირდება გაუფასურების ზარალით, გარდა სავაჭრო მოთხოვნებისა, სადაც საბალანსო ღირებულება მცირდება რეზერვის საშუალებით.

თუ მომდევნო პერიოდში გაუფასურების ზარალი შემცირდა და ეს შემცირება შესაძლებელია ობიექტურად დაკავშირებულ იქნას მომხდარ შემთხვევასთან, წარმოშობილი გაუფასურების აღიარების შემდეგ წინამდებარე აღიარებული გაუფასურების ზარალი შებრუნდება მოგება ზარალის გამოყენებით იმ პირობით, რომ ინვესტიციის საბალანსო ღირებულება გაუფასურების შებრუნების თარიღისთვის არ გადააჭარბებს აქტივის ამორტიზირებად ღირებულებას, გაუფასურების არ აღიარების შემთხვევაში.

### 3.9 კაპიტალი

ჯგუფის მიერ გამოშვებული კაპიტალის ინსტრუმენტები აღირიცხება, მიღებული შემოსავლით.

აკუმულირებული მოგება/ზარალი შეიცავს წინა პერიოდების აკუმულირებულ მოგება/ზარალებს.

დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება იმ პერიოდისთვის, რომელშიც გამოცხადდა.

### 3.10 გრანტები

გრანტების აღიარება არ ხდება, მანამდე, სანამ არ არსებობს საფუძვლიანი მტკიცება, რომ ჯგუფი შეესაბამება იმ მდგომარეობას, რომლის საფუძველზეც შესაძლებელია გრანტის მიღება.

გრანტები, რომელიც მიზნად ისახავს, რომ ჯგუფმა ააშენოს ან შეესწავლოს არამატერიალური აქტივები, აღიარდება როგორც გადავადებული შემოსავალი საბალანსო ანგარიშგებაში და მოხდება მათი გადატანა მოგება-ზარალის ანგარიშგებაში სისტემატურად და რაციონალურ საფუძველზე, მასთან დაკავშირებული აქტივის სასიცოცხლო პერიოდის განმავლობაში.

სხვა გრანტები აღიარდება შემოსავლად იმ პერიოდების განმავლობაში, რომელიც პერიოდის საკომპენსაციოდ იყო გამიზნული. გრანტები, რომლებიც წარმოდგენილია როგორც მოთხოვნები, უკვე გამოწვეული ხარჯებისა, თუ ზარალის საკომპენსაციოდ ჯგუფის ფინანსური მხარდაჭერისათვის და რომელთაც არ გააჩნიათ სამომავლო ხარჯი, აღიარდება როგორც მოგება ან ზარალი იმ პერიოდისთვის, რომელშიც წარმოიშვა როგორც მოთხოვნა.

### 3.11 მოგების გადასახადი

მიმდინარე გადასახადი არის საგადასახადო ვალდებულება პერიოდის დასაბეგრ მოგებაზე, დადგენილ საგადასახადო განაკვეთზე ანგარიშგების თარიღისთვის და საგადასახადო ვალდებულების ყველა შესწორება დაკავშირებულია წინა წლებთან.

გადავადებული გადასახადი ასახულია საბალანსო უწყისის ვალდებულებების მეთოდის გამოყენებით, ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის აქტივების და პასივების საბალანსო ღირებულებებისა და გადასახადებით დაბეგვრის მიზნებისთვის გამოყენებულ თანხებს შორის დროებითი სხვაობების გათვალისწინებით. გადავადებული საგადასახადო ვალდებულება ზოგადად აღიარდება ყველა დასაბეგრი განსხვავებისთვის. გადავადებული საგადასახადო აქტივის აღიარება ხდება ყველა გამოქვითვადი დროებითი განსხვავებებისთვის იმ შემთხვევაში თუ არის ალბათობა, რომ დასაბეგრი მოგება, რომლისთვისაც შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ეს გამოქვითვადი დროებითი განსხვავება. მსგავსი გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები არ აღიარდება თუ წარმოქმნილი დროებითი განსხვავება წარმოიშვა გუდვილიდან ან აქტივებისა და ვალდებულებების პირველად აღიარებიდან (სხვა ვიდრე ბიზნეს კომბინაცია), რომელიც იმყოფება გადაცემის პროცესში და არ აქვს გავლენა არც დასაბეგრ და არც სააღრიცხვო მოგებაზე.

შვილობილ კომპანიებში, მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში ინვესტიციების შედეგად წარმოშობილ დროებით სხვაობებზე წარმოიშობა გადავადებული მოგების გადასახადი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც დროებითი სხვაობის შებრუნების დროს გაკონტროლება შესაძლებელია და მოსალოდნელია, რომ დროებითი სხვაობის შებრუნებას ადგილი არ ექნება ახლო მომავალში. გადავადებული საგადასახადო აქტივი, წარმოშობილი გამოქვითვადი დროებითი განსხვავებიდან, რომელიც დაკავშირებულია მსგავს ინვესტიციებთან და პროცენტთან, აღიარებადია იმ შემთხვევაში, თუ არის ალბათობა, რომ იქნება საკმარისი დასაბეგრი მოგება, რომლის მიმართაც გამოიყენება დროებითი განსხვავების სარგებელი და მოსალოდნელია დროებითი სხვაობის შებრუნება ახლო მომავალში.

გადავადებული აქტივის საბალანსო ღირებულება გადახედილ იქნება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს და შემცირდება იმის საფუძველზე, რომ აღარ არის ალბათობა საკმარისი დასაბეგრი მოგების წარმოშობისა, რათა მიეცეს აქტივის უკან მიღების ნაწილობრივი ან სრული შესაძლებლობა.

გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები განისაზღვრება საგადასახადო ნორმით, რომელიც მოსალოდნელია, რომ გამოყენებულ იქნება იმ პერიოდში, რომელშიც ვალდებულება წარმოიშვა და აქტივი რეალიზებულ იქნა, დაფუძნებული საგადასახადო ნორმაზე (და საგადასახადო კანონმდებლობაზე), რომელიც დადგენილია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის. გადავადებული საგადასახადო ვალდებულებისა და აქტივის საზომად გამოდგება საგადასახადო შედეგები, რომლებიც თანხვედრაში იქნებოდა ჯგუფის მოლოდინებთან, რათა აინაზღაუროს ან გადაწყვიტოს საკუთარი აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება პერიოდის ბოლოს.

გადავადებული საგადასახადო აქტივები ან ვალდებულებები გაიქვითება, თუ არსებობს კანონიერი უფლება მიმდინარე საგადასახადო აქტივები გაიქვითოს მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებებით და როცა ისინი დაკავშირებულია საშემოსავლო გადასახადთან, რომელიც აკრეფილია იმავე საგადასახადო ორგანოს მიერ და ჯგუფს განზრახული აქვს საგადასახადო აქტივებისა და ვალდებულებების გაქვითვა.



### 3.12 შემოსავლების აღიარება

შემოსავალი განისაზღვრება მისივე სამართლიანი ღირებულებით ან სავაჭრო მოთხოვნებით, რომელშიც გათვალისწინებულია ჯგუფის მიერ გაკეთებული ფასდაკლებები და ფასდათმობები.

შემოსავალი მცირდება შეფასებული ფასდაკლებებით და სხვა მსგავსი შედავატებით.

#### *შემოსავალი ელექტრო ენერჯის გაყიდვიდან*

ჯგუფი იღებს შემოსავალს ელექტროენერჯის გამოქმუნებებიდან და რეალიზაციიდან საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. შემოსავლის აღიარება ხდება, ყოველთვიურად იმ თანხის პროპორციულად, რა ოდენობის ელექტრო ენერჯია იქნა მიწოდებული მომხმარებლისთვის, რომელიც თავის მხრივ დასტურდება ინვოისითა და მიღება-ჩაბარების აქტით ხელმოწერილი ჯგუფი და კლიენტის მხრიდან და დადასტურებულია სს “საქართველოს ელექტროენერჯეტიკული სისტემის ოპერატორის” (“ესკო”) მიერ, რომელიც მცირე სიმძლავრის რეგულირებულ ელექტროსადგურებთან ანგაშისწორებას ახორციელებს საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრის 2006 წლის 30 აგვისტოს №77 ბრძანებით დამტკიცებული “ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბაზრის წესების” 36-ე მუხლის მიხედვით.

#### *საპროცენტო შემოსავლები*

საპროცენტო შემოსავალი აღირიცხება პერიოდულად, რომელიც დაკავშირებულია ძირსა და ეფექტურ საპროცენტო განაკვეთთან. ეს განაკვეთი წარმოადგენს მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირების განაკვეთს ფინანსური აქტივის მოსალოდნელი სასიცოცხლო პერიოდის განმავლობაში.

#### 4 ძირითადი საშუალებები

ათასი ლარი	მიწა და შენობა ნაგებობები	მანქანა- დანადგარე ბი	ვტომობი- ლები, კომპიუტერ ები, ავეჯი და სხვა	დაუთავრებე ლი მშენებლობა	სულ
<i>ღირებულება</i>					
2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	185,826	138,911	4,218	27,994	356,949
მატება	126	452	253	21,672	22,503
კლება	(60)	(209)	(1,019)	(229)	(1,517)
შიდა მოძრაობა	(9,369)	(1,851)	36,811	(25,591)	-
2012 წლის 31 დეკემბერი	176,523	137,303	40,263	23,846	377,935
მატება	268	696	948	36,110	38,022
კლება	-	(32)	(297)	(255)	(584)
შიდა მოძრაობა	668	27,055	-	(27,723)	-
2013 წლის 31 დეკემბერი	177,459	165,022	40,914	31,978	415,373
<i>დაგროვილი ცვეთა</i>					
2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	56,442	32,592	1,454	-	90,488
წლის ცვეთა	2,375	4,544	1,217	-	8,136
კლების შედეგად კორექტირება	(45)	(174)	(431)	-	(650)
შიდა მოძრაობა	(2,996)	(5,499)	8,495	-	-
2012 წლის 31 დეკემბერი	55,776	31,463	10,735	-	97,974
წლის ცვეთა	2,394	5,205	1,184	-	8,783
კლების შედეგად კორექტირება	-	(29)	(295)	-	(324)
2013 წლის 31 დეკემბერი	58,170	36,639	-	-	106,435
<i>საბალანსო ღირებულება</i>					
2013 წლის 31 დეკემბერი	120,747	105,840	29,528	23,846	279,961
2014 წლის 31 დეკემბერი	119,289	128,383	29,290	31,871	308,940

ცვეთის ხარჯი გადანაწილებულია შემდეგი პროპორციით:

ათასი ლარი	2014 წლის 31 დეკემბერი	2013 წლის 31 დეკემბერი
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	7,878	7,229
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	648	629
სხვა საოპერაციო ხარჯები	257	278
	8,783	8,136

2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სრულად გაცვეთილი აქტივების ღირებულება შეადგენს 3,843 ათას ლარს (2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 2,775 ათას ლარს).

კაპიტალიზირებადი ხარჯები შეიცავს იმ თანხებს, რომლებიც გაწეულ იქნა რეაბილიტაციის სამუშაოებისთვის, ენგურჰესის და ვარდნილჰესების კასკადის ჰიდროელექტროსადგურების რეაბილიტაციისთვის, რომლებიც მდებარეობენ

აფხაზეთის ტერიტორიაზე. ხარჯების კაპიტალიზაცია სამუშაოს დასრულების შემდგომ ხდება.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს აქტივებს, რომლებიც წარმოიშვა შპს კოდორჰესის შერწყმის შედეგად. ეს აქტივები კომპანიისთვის ეკონომიკური სარგებლის მომტანი არ არის. აქტივების საბალანსო ღირებულება 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის 4,090 ათასი ლარი (2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 4,130 ათასი ლარი).

ჯგუფის ძირითადი საშუალებები ღირებულებით 271,228 ათასი ლარი დატვირთულია იპოთეკით, როგორც სესხის უზრუნველყოფა 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (2013 წლის 31 დეკემბერი: 241,808 ათასი ლარი)

## 5 სასაქონლო მატერიალური მარაგები

ათასი ლარი	2014 წლის 31 დეკემბერი	2013 წლის 31 დეკემბერი
მასალები და სხვადასხვა მარაგები	1,741	1,703
საწვავ-საპოხი მასალები	16	33
სხვა	55	266
	<u>1,812</u>	<u>2,002</u>

## 6 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ათასი ლარი	2014 წლის 31 დეკემბერი	2013 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო მოთხოვნები	1,727	1,489
საექვო მოთხოვნების კორექტირება	(528)	(501)
წმინდა მოთხოვნები	<u>1,199</u>	<u>988</u>
მოთხოვნები სახელმწიფო ბიუჯეტისგან	7,212	5,069
სხვა	50	52
	<u>8,461</u>	<u>6,109</u>

სავაჭრო მოთხოვნები არის მოკლევადიანი. სავაჭრო და სხვა მოთხოვნების წმინდა ღირებულება მიახლოებულია საბალანსო ღირებულებასთან.

საშუალო საკრედიტო პერიოდი გაყიდვებზე შეაგენს 19 დღეს (2013: 18 დღე). თუმცა არსებობს ასევე სხვა კონტრაქტები, რომელთა საშუალო საკრედიტო პერიოდი გაყიდვაზე შეადგენს 40 დღეს. სავაჭრო მოთხოვნებს პროცენტი არ ერიცხება. სავაჭრო მოთხოვნები, რომელიც მეტია 365 დღეზე მთლიანად გადატანილია საექვო მოთხოვნებში, რადგან ჯგუფს ისტორიული პრაქტიკა უჩვენებს, რომ ეს მოთხოვნები არ არის დაბრუნებადი.

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის მოთხოვნები მთლიანად დაბრუნებადია. ეს თანხა შეიცავს საშემოსავლო, ქონების და დამატებული ღირებულების გადასახადებს.

2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 535 ათასი ლარის ღირებულების სავაჭრო მოთხოვნები იქნა გაუფასურებული ინდივიდუალური მიდგომით (2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 527 ათასი ლარი). ინდივიდუალურად გაუფასურებულ აქტივი არის მოთხოვნა შპს “კახეთის ენერჯო დისტრიბუციისგან”, რომელიც ლიკვიდაციის რეჟიმში მუშაობს, თანხა შეადგენს 509 ათასს ლარს (2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 501 ათას ლარი). დარჩენილი ინდივიდუალური გაუფასურების აქტივი შეეხება ინდ. მეწარმე ნორაკიძეს - თანხა შეადგენს 19 ათას ლარს და სრულად არის დარეზერვებული.

მოდრაობა საექვო მოთხოვნების ანგარიშებზე წარმოდგენილია ქვემოთ:

ათასი ლარი	2014	2013
ბალანსი წლის დასაწყისში	501	481
ზრდა წლის განმავლობაში	27	20
ბალანსი წლის ბოლოს	528	501

სავაჭრო მოთხოვნების ანაზღაურებადობის განსაზღვრისას, ჯგუფი ითვალისწინებს ნებისმიერ ცვლილებას დებიტორის მხრიდან გადახდის სქემაში ანგარიშგების დღისთვის. საკრედიტო რისკის კონცენტრირება შეზღუდულია გამომდინარე მომხმარებელთა მრავალფეროვნებიდან და მათი ერთმანეთთან ურთიერთკავშირის არქონიდან. შესაბამისად, ჯგუფის მმართველებს სწამთ, რომ არ არის საჭირო რაიმე სხვა სახის რეზერვის შექმნა გარდა საექვო მოთხოვნების კორექტირებისა.

თანახმად ბრძანებისა №77 - “ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბაზრის წესებისა” - აფხაზეთის ტერიტორიაზე ელექტრო ენერჯის მიწოდება ხორციელდება ჯგუფის ჰიდროელექტროსადგურებიდან ელექტროენერჯის (სიმძლავრის) დამტკიცებული საპროგნოზო ბალანსის მოცულობის მიხედვით. ჯგუფის ჰიდროელექტროსადგურები თავისი გამომუშავებიდან იკლებენ აფხაზეთის ტერიტორიაზე მიწოდებული ელექტროენერჯის რაოდენობას, შესაბამისი საანგარიშო პერიოდში მათ მიერ წარმოებული ელექტროენერჯის პროპორციულად და ჯგუფი აწარმოებს მის აღრიცხვას დამტკიცებული წესებითა და კომისიის მიერ დადგენილი ტარიფებით.

ჯგუფის მოთხოვნები დომინირებულია ლარში.

## 7 კაპიტალი და რეზერვები

### 7.1 საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი შედგება ერთი აქციისგან, ნომინალური ღირებულებით 207,918 ათასი ლარი (2013 წელი 31 დეკემბერი: 174,080 ათასი ლარი) და მისი მფლობელია საქართველოს მთავრობა. საწესდებო კაპიტალის ზრდა, 33,717 ათასი ლარის ოდენობით, გამოწვეულია დამატებითი კაპიტალის საწესდებო კაპიტალში გადატანით (იხილეთ დანართი 7.2) და 121 ათასი ლარით ზრდა, რომელიც შეეხება ფინანსთა სამინისტროდან ძირითადი საშუალებების გადმოცემას.

### 7.2 დამატებითი კაპიტალი

სხვა რეზერვების ანგარიშზე თანხის ოდენობა 31,876 ათასი ლარი წარმოიქმნა 2012 წლის 31 დეკემბერს, როცა მშობელმა კომპანიამ გადაწყვიტა 19,241 ათასი აშშ დოლარის ოდენობით თანხა გადაეტანა კაპიტალის სხვა კომპონენტად – სხვა რეზერვების ანგარიშზე.

1998 წლის 22 დეკემბერს გაფორმდა ხელშეკრულება - შპს ენგურჰესსა და ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკს შორის, რომლის მიზანი იყო ენგურის ჰიდრო ელექტროსადგურის რეკონსტრუქცია, სესხის თანხა შეადგენდა 38,750 ათას აშშ დოლარს. 2006 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ათვისებული სესხის ნაშთი იყო 34,404 ათასი დოლარი.

2007 წლის 10 მაისს მშობელ კომპანიასა და ფინანსთა სამინისტროს შორის გაფორმდა ქვე-სასესხო ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც ფინანსთა სამინისტრომ აიღო ვალდებულება გადაეხადა სამინისტროსთვის 19,241 ათასი აშშ დოლარი. ქვე-სასესხო ხელშეკრულება არ განსაზღვრავს მოითხოვს, თუ არა ფინანსთა სამინისტრო აღნიშნულ თანხას მშობელი კომპანიისგან. 2012 წლამდე, ზემოთ ხსენებული თანხის გაურკვევლობის გამო, მშობელი კომპანიის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა ეს თანხა ეჭვენებინა კომპანიის სასესხო ვალდებულების ნაწილში.

2012 წლის განმავლობაში მშობელმა კომპანიამ მოლაპარაკებები დაიწყო საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროსთან, რომ ზემოთ ხსენებული ვალდებულება გადაეტანათ კომპანიის კაპიტალში. 2013 წლის 31 დეკემბრისა და 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღისთვის ჯგუფის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა 19,241 ათასი აშშ დოლარის ოდენობის თანხა (31,876 ათასი ლარი) გადაეტანა კაპიტალის ნაწილში, როგორც კაპიტალის სხვა ელემენტი - დამატებითი კაპიტალი. ეკონომიკის მინისტრის ბრძანება 113-ის შესაბამისად, დათარიღებული 2014 წლის 28 ოქტომბრით, დამატებითი კაპიტალის გადატანა კაპიტალის ძირითად ნაწილში დამტკიცდა. კაპიტალის საბოლოო ღირებულება დამყარებულია დამოუკიდებელი ექსპერტის დასკვნის საფუძველზე, რომლისთვისაც გამოყენებულ იქნა ანგარიშის დღისათვის არსებული კურსი. სხვაობა, 1,841 ათასი ლარი, რომელიც წარმოადგენს დამატებით კაპიტალსა (31,876 ათასი ლარი) და დამფუძნებლის მიერ დამტკიცებულ კაპიტალის ზრდას (33,717 ათასი ლარი) შორის გადატანილი იქნა როგორც საწესდებო კაპიტალის ზრდა.

## 8 სმსხუბი

ათასი ლარი

	მიმდინარე		გრძელვადიანი	
	2014 წლის 31 დეკემბერი	2013 წლის 31 დეკემბერი	2014 წლის 31 დეკემბერი	2013 წლის 31 დეკემბერი
ფინანსთა სამინისტრო (EBRD) #1	1,125	-	38,006	39,153
ფინანსთა სამინისტრო (EBRD)#2	2,727	2,480	2,597	4,961
ფინანსთა სამინისტრო (EBRD) #3	4,364	-	36,870	46,631
ფინანსთა სამინისტრო (EIB)	-	-	25,768	9,456
	<u>8,216</u>	<u>2,480</u>	<u>103,241</u>	<u>100,201</u>

სესხების მოკლე მიმოხილვა ქვემოთ ცხრილშია მოცემული:

	ვალუტა	თანხა ხელშეკრულების მიხედვით, ორიგინალურ ვალუტაში (ათასებში)	საპროცენტო განაკვეთი %	გადახდის ბოლო თარიღი
ფინანსთა სამინისტრო (EBRD) #1	ლარი	38,972	3.5%	25-ოქტომბერი-26
ფინანსთა სამინისტრო (EBRD)#2	აშშ დოლარი	10,000	LIBOR+1	15-ნოემბერი-16
ფინანსთა სამინისტრო (EBRD) #3	ევრო	20,000	EURIBOR+1%	25-ნოემბერი-25
ფინანსთა სამინისტრო (EIB)	ევრო	20,000	EURIBOR+0.75%	20-ოქტომბერი-27

### ფინანსთა სამინისტრო (EBRD) #1

2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მშობელ კომპანიას ქონდა ვალდებულება ფინანსთა სამინისტროს მიმართ 39,131 ათასი ლარის ოდენობით (2013 წლის 31 დეკემბერი: 39,153 ათასი ლარი). ხელშეკრულება გაფორმდა 2009 წლის 17 აგვისტოს. აღნიშნული ხელშეკრულების თანახმად მშობელ კომპანიას დაევადა ფინანსთა სამინისტროსთვის გადაეხადა მის მიერ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისთვის (EBRD) გადასახდელი ვალდებულების საფასური.

ხელშეკრულების გაფორმების თარიღისთვის შედგებოდა შემდეგი თანხებისგან:

დავალიანების ძირი თანხა	11,793
ჯარიმა ძირის გადაცილებაზე	472
გადასახდელი დარიცხული პროცენტი	1,287
ჯარიმა პროცენტის გადაგადაცილებაზე	776
რისკის გადასახდელი	1,400
ჯარიმა რისკის გადასახადის გადაგადაცილებაზე	593
სულ	<u>16,321</u>

ხელშეკრულების მიხედვით გადასახდელი ვალდებულება განისაზღვრა ლარებში, ხელშეკრულების გაფორმების თარიღით საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის შესაბამისად, რომელიც შედაგენდა 1.611 ლარს ერთი აშშ დოლარისთვის, ხელშეკრულების თანხა

განისაზღვრა 38,972 ათასი ლარით. პროცენტის დარიცხვა და გადახდა დაიწყო 2014 წლიდან, ხოლო სესხის ძირის გადახდა კი – 2017 წლიდან.

### **ფინანსთა სამინისტრო (EBRD) #2**

2006 წლის 29 დეკემბერს გაფორმებული იყო სასესხო ხელშეკრულება მშობელ კომპანიასა და EBRD-ს შორის. ხელშეკრულების თანახმად, მშობელ კომპანიას ქონდა ვალდებულება 14,346 ათასი აშშ დოლარის ოდენობით. შემდგომ, 2007 წლის 10 მაისს გაფორმდა ქვე-სასესხო ხელშეკრულება მშობელ კომპანიასა და ფინანსთა სამინისტროს შორის, რომლის შედეგად მშობელი კომპანია ვალდებული გახდა ფინანსთა სამინისტროს წინაშე გადაეხადა ვალი, რომელიც მას ადრე ქონდა EBRD-თან. ახალი პირობები შემდეგნაირად განისაზღვრა:

- სესხის თანხა 10,000 ათასი აშშ დოლარი
- გრანტი 4,346 ათასი აშშ დოლარი

მიღებული გრანტის მიზანი იყო აღჭურვილობის შესყიდვა რეაბილიტაციის სამუშაოებისთვის.

### **ფინანსთა სამინისტრო (EBRD) #3**

2010 წლის 27 აგვისტოს მშობელ კომპანიასა და ფინანსთა სამინისტროს შორის გაფორმდა ხელშეკრულება 20,000 ათას ევროზე. სესხის აღების მიზანია ენგურჰესის ჰიდრო ელექტრო სადგურზე სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება.

### **ფინანსთა სამინისტრო (EIB)**

2011 წლის 20 ივლისს გაფორმდა ქვესასესხო ხელშეკრულება მშობელ კომპანიას, ენერჯეტიკის და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს და ფინანსთა სამინისტროს შორის 20,000 ათას ევროზე. სესხის გაცემის პირველადი წყარო არის ევროპის ინვესტიციის ბანკი.

სესხების სამართლიანი ღირებულება უახლოვდება მის საბალანსო ღირებულებას.

სესხები შესაბამისი ვალუტების მიხედვით იხილეთ შენიშვნა 22.

ჯგუფის გამოუყენებელი სასესხო საშუალებები 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 19,544 ათას ლარს (2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 39,477 ათასი ლარი)

საპროცენტო განაკვეთის და უცხოური ვალუტის რისკი და გააღწევა ჯგუფზე უფრო დეტალურად იხილეთ შენიშვნა 22.

**9 რესტრუქტურიზაციული ვალდებულებები**

ფინანსთა სამინისტროს მიერ შექმნილი კომისიის, ვადაგადაცილებული გადასახადებისა და ვალდებულებების რესტრუქტურიზაციის კომისიის მიერ, იქნა მიღებული გადაწყვეტილება, მშობელ კომპანიასა და მისი შვილობილი კომპანიის ვალდებულების რესტრუქტურიზაციის შესახებ. 2009 წლის 23 აპრილს და 2009 წლის 18 თებერვალს გაფორმებულ იქნა ფინანსთა სამინისტროსთან ხელშეკრულებები ვალდებულების რესტრუქტურიზაციის შესახებ. ხელშეკრულების გაფორმების თარიღისთვის მშობელი კომპანიის ვალდებულებას სახელმწიფოს წინაშე შეადგენდა 22,060 ათას ლარს, ხოლო შვილობილი კომპანიის ვალდებულება სახელმწიფოს წინაშე იყო 3,673 ათასი ლარი. ვალდებულების საბოლოო დაფარვის თარიღებად დადგინდა 2020 წელი მშობელი კომპანიისთვის, ხოლო 2023 წელი შვილობილი კომპანიისთვის. ვალდებულების სახეები შემდეგია:

რესტრუქტურიზებული გადასახადის სახეები ხელშეკრულების გაფორმების მომენტისათვის შემდეგი იყო (ნომინალური ღირებულებით):

ათას ლარში	
მოგების გადასახადი	3,337
საშემოსავლო გადასახადი	546
სოციალური გადასახადი	6,242
ქონების გადასახადი	10,852
საგზაო ფონდის გადასახადი	19
ეკონომიკური საქმიანობის გადასახადი	758
ბუნებრივი რესურსების სარგებლობის გადასახადი	306
რესტრუქტურიზებული ვალდებულება შვილობილი კომპანიისთვის	3,673
სულ	25,733

სამართლიანი ღირებულება უახლოვდება მის საბალანსო ღირებულებას. დისკონტირება განსაზღვრულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით 6%-ით.

რესტრუქტურიზებული ვალდებულებები დომინირებულია ლარში.

**10 აქტივებთან დაკავშირებული ბრანტები**

ათასი ლარი	2014	2013
	11,000	9,160
ბალანსი წლის დასწყისში		
დაკრედიტებული მოგება ზარალის ანგარიშგებაში (იხილეთ შენიშვნა 14)	(208)	(208)
წლის განმავლობაში მიღებული	3,133	2,048
ბალანსი წლის ბოლოს	13,925	11,000

2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით არსებული ბალანსი წარმოადგენს ფინანსთა სამინისტროსთან გაფორმებული ხელშეკრულებით (2007 წლის 10 მაისი) მიღებულ გრანტს (იხილეთ შენიშვნა 8).



2014 და 2013 წლების განმავლობაში მიღებული გრანტი მიღებულია ენერგეტიკის სამინისტროსგან და ევროკავშირისგან. გრანტი მიღებულია ენგურჰესის ჰიდრო ელექტროსადგურისა და ვარდნილჰესების კასკადის ჰიდრო ელექტროსადგურის სარეაბილიტაციო სამუშაოების დასაფინანსებლად. გრანტის ჯამური ოდენობა არის 5,000 ათასი ევრო. გრანტის დეტალური გაშლა შემდეგია:

- ვარდნილჰესებამდე მიმავალი გზის შეკეთება – 1,000 ათასი ევრო
- სამშენებლო სამუშაოები ვარდნილჰესების გვირაბისთვის – 3,000 ათასი ევრო
- ტექნიკური სამუშაოების დაფინანსება საინჟინრო სამუშაოებისთვის – 1,000 ათასი ლარი

## 11 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ათასი ლარი	2013 წლის 31 დეკემბერი	2013 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო ვალდებულებები	1,727	1,243
ვალდებულება თანამშრომლების მიმართ	286	-
ვალდებულებები სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ	135	154
სხვა	10	2
	<u>2,158</u>	<u>1,399</u>

სავაჭრო ვალდებულებებს არ ერიცხება პროცენტი. ჯგუფს გააჩნია რისკების მართვის პოლიტიკა, იმისათვის, რომ ვალდებულებები დროულად იქნეს გადახდილი.

სავაჭრო ვალდებულებები შეიცავს 450 ათასი ლარის ოდენობით ვალდებულებას “საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის” (“სემეკი”) წინაშე (2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 450 ათასი ლარი). აღნიშნული თანხა წარმოადგენს რეგულირების საფასურს. რეგულირების საფასური იანგარიშება რეალიზებული ელექტროენერჯის 0.005%-ის ოდენობით. ეს თანხა შეიცავს 418 ათას ლარს (2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 327 ათას ლარს), რომელიც წარმოადგენს რეგულრების გადასახადს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიიდან. როგორც აღნიშნულია მე-7 შენიშვნაში - თანახმად ბრძანების №77 - “ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბაზრის წესებისა” - აფხაზეთის ტერიტორიაზე ელექტრო ენერჯის მიწოდება ხორციელდება მშობელი კომპანიის ჰიდროელექტროსადგურებიდან ელექტროენერჯის (სიმძლავრის) დამტკიცებული საპროგნოზო ბალანსის მოცულობის მიხედვით. მშობელი კომპანიის ჰიდროელექტროსადგურები თავისი გამომუშავებიდან იკლებს აფხაზეთის ტერიტორიაზე მიწოდებული ელექტროენერჯის რაოდენობას, შესაბამისი საანგარიშო პერიოდში მის მიერ წარმოებული ელექტროენერჯის პროპორციულად და კომპანია აწარმოებს მის აღრიცხვას დამტკიცებული წესებითა და კომისიის მიერ დადგენილი ტარიფებით. აფხაზეთის ტერიტორიაზე ელექტრო ენერჯის მიწოდება ხდება უსასყიდლოდ. გამომდინარე ზემოთქმულიდან, ჯგუფის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე მიწოდებული ელექტრო ენერჯიდან არ უნდა ხდებოდეს რეგულირების საფასურის დარიცხვა. ჯგუფის ხელმძღვანელობას ჰქონდა წერილობითი კომუნიკაცია “სემეკთან”-თან და

ენერგეტიკის სამინისტროსთან აღნიშნული დავალიანების დარიცხვის გაუქმებასთან დაკავშირებით, თუმცა ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის ეს საკითხი გადაუწყვეტავი არის.

სავაჭრო ვალდებულებები ასევე შეიცავს, სისტემური დანაკარგის საფასურს “ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის” (“ესკო”) ვალდებულებას 41 ათასი ლარის ოდენობით (2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 48 ათასი ლარი). აღნიშნული თანხა დათვლილია შემდეგი პრინციპით:

- სისტემური დანაკარგის ოდენობის რისკის საფასურს თავის თავზე იღებს შემსყიდველი კომპანია
- “ესკო” ახდენს ჯამური სისტემური დანაკარგის გადანაწილებას რეალიზებული ელექტრო ენერჯის მიხედვით პროპორციულად ყველა ორგანიზაციაზე

გამომდინარე იქიდან, რომ კომპანია აფხაზეთს აწვდის ელექტრო ენერჯიას უსასყიდლოდ, ჯგუფის ხელმძღვანელობა თვლის, რომ აფხაზეთზე მიწოდებულ ელექტრო ენერჯიაზე არ უნდა ხდებოდეს სისტემური დანაკარგის საფასურის დარიცხვა. ჯგუფის ხელმძღვანელობას ჰქონდა წერილობითი კომუნიკაცია “ესკოსთან”-თან და ენერგეტიკის სამინისტროსთან აღნიშნული დავალიანების დარიცხვის გაუქმებასთან დაკავშირებით, თუმცა ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის ეს საკითხი გადაუწყვეტავი არის.

## 12 ბრანტი დაკავშირებული ვიზისავლებთან

ათასი ლარი

	2014	2013
ბალანსი პერიოდის დასაწყისში	106	-
წლის განმავლობაში მიღებული	-	115
დონორისთვის დაბრუნებული თანხა	(106)	-
შემოსავლებში გადატანა (იხილეთ შენიშვნა 14)	-	(9)
ბალანსი პერიოდის ბოლოს	-	106

2013 წელს გაფორმდა ხელშეკრულება გაეროს განვითარების ფონდსა (UNDP) და შპს ენგურჰესს შორის, ენგურის ხიდის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით. (UNDP)-ს პროგრამის დასახელებაა “HUS-CO-Human Security through community Participation – Phase I”. 2014 წელს განმავლობაში პროექტი გაქმნულ იქნა და დარჩენილი თანხა დაუბრუნდა დონორს.

### 13 ბაჟიდული პროდუქციის თვითღირებულება

ათასი ლარი	2014 წლის 31 დეკემბერი	2013 წლის 31 დეკემბერი
ხელფასები	8,271	7,739
ძირითადი საშუალებების ცვეთა	7,878	7,229
რემონტი და შეკეთების ხარჯები	997	2,470
შესყიდვები	211	1,156
პროფესიონალური მომსახურების ხარჯები	138	262
სხვა ხარჯები	196	215
	<b>17,691</b>	<b>19,071</b>

### 14 სხვა საოპერაციო შემოსავლები

ათასი ლარი	2014 წლის 31 დეკემბერი	2013 წლის 31 დეკემბერი
აქტივებთან დაკავშირებული გრანტიდან მიღებული შემოსავალი	208	208
შემოსავლებთან დაკავშირებული გრანტიდან მიღებული შემოსავალი	-	9
შემოსავალი სასტუმროდან	25	20
სხვა	597	303
	<b>830</b>	<b>540</b>

### 15 ზოგადი და აღმინისტრაციული ხარჯები

ათასი ლარი	2014 წლის 31 დეკემბერი	2013 წლის 31 დეკემბერი
ექსპორტთან დაკავშირებული კომერციული ხარჯები	5,947	-
ხელფასები	3,649	3,496
სხვა საგადასახადო ხარჯები	1,083	1,264
ცვეთა და ამორტიზაცია	649	630
დაცვის ხარჯი	563	589
აუქციონის ლიცენზიის ხარჯები	412	-
საწვავის ხარჯი	123	161
ელექტროენერჯის გადაცემის ხარჯები	106	-
საწვერო გადასახადი	102	929
სერვისისა და სხვა კონსულტაციის ხარჯები	71	108
მივლინების ხარჯები	55	48
ოფისის ხარჯები	45	68
კომუნიკაციის ხარჯები	43	55
ტრანსპორტირების ხარჯები	42	39
საეჭვო მოთხოვნების რეზერვის დანახარჯი (იხილეთ დანართი 6)	27	20
წარმომადგენლობითი ხარჯები	6	14
სხვა	1,311	1,214
	<b>14,234</b>	<b>8,635</b>

## 16 სხვა საოპერაციო ხარჯები

ათასი ლარი	2014 წლის 31 დეკემბერი	2013 წლის 31 დეკემბერი
ცვეთა	257	278
ქველმოქმედება	125	2,227
ხელფასები	110	132
აქტივების ჩამოწერა	5	605
სხვა გადასახადები და ჯარიმები	-	3
სხვა	102	66
	<u>599</u>	<u>3,311</u>

## 17 ფინანსური შემოსავალი და ხარჯები

ათასი ლარი	2014 წლის 31 დეკემბერი	2013 წლის 31 დეკემბერი
სესხებზე საპროცენტო ხარჯი	(170)	(1,592)
რესტრუქტურისებულ გადასახადებზე საპროცენტო ხარჯი	(478)	(509)
მოთიანი ფინანსური დანახარჯები	(648)	(2,101)
საპროცენტო შემოსავალი საბანკო დეპოზიტებზე	90	41
მოთიანი ფინანსური შემოსავალი	90	41
წმინდა ფინანსური დანახარჯები	<u>(558)</u>	<u>(2,060)</u>

## 18 სხვა ფინანსური ერთეულები

ათასი ლარი	2014 წლის 31 დეკემბერი	2013 წლის 31 დეკემბერი
მოგება (ზარალი) საკურსო სხვაობიდან:		
სესხები და მოთხოვნები	(146)	85
ფინანსური ვალდებულებები ამორტიზირებული ღირებულებით	1,537	(4,926)
	<u>1,391</u>	<u>(4,841)</u>

## 19 მოგების გადასახადი

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი გამოითვლება შემდეგნაირად:

ათასი ლარი	2014 წლის 31 დეკემბერი	ეფექტური განაკვეთი (%)	2013 წლის 31 დეკემბერი	ეფექტური განაკვეთი (%)
ზარალი დაბეგრამდე ((IFRS)ფასს-ის მიხედვით)	11,455		(7,791)	
გადასახადი დათვლილი 15%-იანი საპროცენტო განაკვეთით (2013: 15%)	1,718	15.00	(1,169)	15.00
(არა დაბეგრადი)/არა-გამოქვითვადი ერთეულები	(814)	(7.11)	(22,078)	283.38
დროებითი სხვაობები, რომელიც არ არის აღიარებული როგორც გადავადებული აქტივი	3,836	33.49	23,247	(298.38)
საგადასახადო მოგების გადავადებული საგადასახადო აქტივი წარმოქმნილი აკუმულირებული ზარალისგან	(4,740)	(41.38)	-	-
მოგების გადასახადი	-	-	-	-

გადავადებული მოგების გადასახადი 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

შეიძლება შეჯამდეს შემდეგნაირად:

ათასი ლარი	2014 წლის 1 იანვარი	აღიარებული მოგება ზარალზე	2014 წლის 31 დეკემბერი
<i>გადავადებული მოგების საგადასახადო აქტივი</i>			
ძირითადი საშუალებები	26,423	(6,753)	19,670
გრანტი დაკავშირებული აქტივებთან	30	(30)	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7,991	2,955	10,946
სესხები	27	(3)	24
რესტრუქტურული ვალდებულებები	22	(4)	18
შემოსავლებთან დაკავშირებული გრანტები	1	(1)	-
<i>მოლიანი გადავადებული საგადასახადო აქტივი</i>	<u>34,494</u>	<u>(3,836)</u>	<u>30,658</u>
<i>გადავადებული საგადასახადო ვალდებულება</i>			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12	-	12
	<u>12</u>	<u>-</u>	<u>12</u>
გადავადებული საგადასახადო აქტივის შეფასება	<u>(34,482)</u>	<u>3,836</u>	<u>(30,646)</u>
წმინდა პოზიცია	<u>-</u>	<u>-</u>	<u>-</u>

გადავადებული მოგების გადასახადი 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება შეჯამდეს შემდეგნაირად:

ათასი ლარი	2013 წლის 1 იანვარი	ადიარებული მოგება ზარალზე	2013 წლის 31 დეკემბერი
<i>გადავადებული მოგების საგადასახადო აქტივი</i>			
ძირითადი საშუალებები	6,243	20,180	26,423
გრანტი დაკავშირებული აქტივებთან	61	(31)	30
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5,121	2,870	7,991
სესხები	(173)	200	27
რესტრუქტურული ვალდებულებები	(5)	27	22
შემოსავლებთან დაკავშირებული გრანტები	-	1	1
<b>გადავადებული საგადასახადო აქტივი</b>	<b>11,247</b>	<b>23,247</b>	<b>34,494</b>
<i>გადავადებული საგადასახადო ვალდებულება</i>			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12	-	12
	12	-	12
<b>გადავადებული საგადასახადო აქტივის შეფასება</b>	<b>(11,235)</b>	<b>(23,247)</b>	<b>(34,482)</b>
<b>წმინდა პოზიცია</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>-</b>

2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გადავადებული მოგების გადასახადი 30,646 ათასი ლარი არ იქნა აღირებული ჯგუფის მიერ, ვინაიდან ამ პერიოდისთვის გაურკვეველია მათი მომავალში რეალიზება (2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 34,482 ათასი ლარი).

## 20 მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასება

შეფასებები და მსჯელობები არის მუდმივად შეფასებადი და დაფუძნებული ისტორიულ გამოცდლებზე, ამასთან გათვალისწინებულია სხვა ფაქტორებიც, როგორებიც არის მომავალი მოვლენები და სარწმუნოა, რომ მიესადაგება აღნიშნულ გარემოებებს.

### 20.1 მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებები

ჯგუფი აკეთებს შეფასებებს და დაშვებებს მომავალთან დაკავშირებით. საბუღალტრო შეფასების შედეგები, იშვიათად არის შესაბამისობაში რეალურ შედეგებთან. ის შეფასებები და მსჯელობები, რომლებიც არის მნიშვნელოვანი რისკის შემცველი და იწვევენ აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მატერიალურ კორექტირებებს, განხილულია ქვემოთ.

#### *ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობა*

ჯგუფი აკეთებს ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობის შესფასებას, ამ შეფასებისთვის ის ითვალისწინებს სხვადასხვა ფაქტორებს, ისეთები როგორცაა ტექნიკური მხარე, კომერციული გამოყენება, ძირითადი საშუალების გამოყენების ვადა, სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობა ცდილობს საუკეთესო გზით

შეაფასოს ძირითადი საშუალების გამოყენების ხანგრძლივობა, იგი შეიძლება განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს ფინანსურ ანგარიშგებაზე.

#### *გადავადებული საგადასახადო აქტივის აღიარება*

ხელმძღვანელობა აკეთებს გადავადებული მოგების გადასახადის შეფასებას. გადავადებული მოგების გადასახადი წარმოიქმნება ძირითად ძირითადი საშუალებებიდან, ასევე არამეტერიალური აქტივებიდან, სესხებიდან, სავაჭრო და სხვა მოთხოვნებიდან, გრანტიდან დაკავშირებული აქტივთან, გრანტიდან დაკავშირებული შემოსავალთან და რესტრუქტურირებული ვალდებულებებიდან წარმოქმნილი სხვაობებიდან. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ გადავადებული მოგების გადასახადის აქტივის აღიარება არ უნდა მოხდეს, ვინაიდან გამოცდილება აჩვენებს, რომ ჯგუფი წლების განმავლობაში გადის ზარალზე. 2014 წლის განმავლობაში წარმოქმნილი მოგება გამოწვეულია ერთჯერადი აუქციონზე მოგებული ლიცენზიის გამო, რომელიც 2015 წელზე არ ვრცელდება. გამომდინარე აქედან, ხელმძღვანელობა არ ელოდება, რომ მომავალში მოგებაზე გავა. თუ, ჯგუფის მოგება იქნება განსახვევული, ფინანსური ანგარიშში შესაძლოა მატერიალურად განსხვავდებოდეს.

## **21 ფინანსური ინსტრუმენტები**

### **21.1 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა**

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის დეტალები და განხორციელების მეთოდები, მათ შორის აღიარების კრიტერიუმები და ბაზისი, რომლის საფუძველზეც ხდება შემოსავლის, თუ ხარჯის აღიარება, ფინანსური აქტივის, ვალდებულებისა და კაპიტალის ინსტრუმენტის კლასების შესაბამისად, წარმოდგენილია შენიშვნა 3.7-ში.

### **21.2 ფინანსური ინსტრუმენტების კატეგორიები**

ფინანსურ ანგარიშგებაში წამროდგენილია შემდეგი კატეგორიის აქტივები და ვალდებულებები საბალანსო ღირებულებით:

#### *ფინანსური აქტივები*

ათასი ლარი	2014 წლის 31 დეკემბერი	2013 წლის 31 დეკემბერი
სესხები და მოთხოვნები:		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,199	988
ფული საბანკო ანგარიშებზე	986	1,458
	<u>2,185</u>	<u>2,446</u>

*ფინანსური ვალდებულებები*

ათასი ლარი	2014 წლის 31 დეკემბერი	2013 წლის 31 დეკემბერი
ფინანსური ვალდებულებები წარმოდგენილია ამორტიზირებული ღირებულებით:		
სესხები	111,457	102,681
რესტრუქტურირებული ვალდებულებები	7,941	8,632
საფაქრო და სხვა ვალდებულებები	2,013	1,243
	<u>121,411</u>	<u>112,556</u>

**22 ფინანსური რისკის მართვა**

ჯგუფი არ არის დაცული სხვადასხვა რისკებისგან დაკავშირებული ფინანსურ ინსტრუმენტებთან. ძირითადი რისკების ტიპებია საბაზრო, საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკები.

ჯგუფი არ არის ჩართული ფინანსური აქტივებით ვაჭრობაში. ძირითადი რისკები, რომლებიც ფინანსურ აქტივებთანაა დაკავშირებული აღწერილია ქვემოთ:

**ფინანსური რისკის შაქტორები**

**ა) საბაზრო რისკი**

ჯგუფი არ არის დაცული საბაზრო რისკებისგან ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებისას და განსაკუთრებით ჯგუფის მოქმედებაზე უმთავრეს გავლენას ახდენს უცხოური ვალუტის კურსის ცვლილება და საპროცენტო განაკვეთი, რომელიც საოპერაციო და ფინანსური საქმიანობის შედეგია.

*სავალუტო რისკი*

ჯგუფის მიერ განხორციელებული გარკვეული ტრანზაქციები წარმოდგენილია უცხოურ ვალუტაში. შესაბამისად წარმოიშვება საკურსო სხვაობები.

ჯგუფის ოპერაციების დიდი ნაწილი ხორციელდება ქართულ ლარში. სირთულე წარმოიშობა სავალუტო კურსისგან, რომელიც ჩნდება ჯგუფის ფულისა და სესხებისგან. ჯგუფს გააჩნია სესხები ამერიკულ დოლარსა და ევროში, რომლითაც იყო დაფინანსებული მიმდინარე პროექტის განსახორციელებლად.



ჯგუფის ფინანსურ აქტივსა და ვალდებულებაზე უცხოური ვალუტის გავლენა ნაჩვენებია ქვემოთ. წარდგენილი თანხები წარდგენილი და ნაჩვენებია ლარში კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ:

ერთეული

2014 წლის 31 დეკემბერი	ამერიკული დოლარი	ევრო
<i>ფინანსური აქტივები</i>		
ფული საბანკო ანგარიშებზე	-	35
	-	35
<i>ფინანსური ვალდებულებები</i>		
სესხები	5,324	67,002
	5,324	67,002
წმინდა პოზიცია	(5,324)	(66,967)

ერთეული

2013 წლის 31 დეკემბერი	ამერიკული დოლარი	ევრო
<i>ფინანსური აქტივები</i>		
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	-	241
	-	241
<i>ფინანსური ვალდებულებები</i>		
სესხები	7,441	56,087
	7,441	56,087
წმინდა პოზიცია	(7,441)	(55,846)

ჯგუფს ძირითადად აქვს ფინანსური აქტივები და ვალდებულებები დომინირებული ამერიკული დოლარსა და ევროში. შემდეგი ცხრილი ასახავს ჯგუფის მგრძობელობას ქართული ლარის 15%-იანი (2013:10%) ზრდის ან შემცირების პირობებში დოლარის ან ევროს მიმართ. 15% (2013: 10%) არის ხელმძღვანელობის შეფასება ვალუტის სავარაუდო ცვლილებასთან დაკავშირებით. მგრძობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ ფინანსურ აქტივს წარმოდგენილს უცხოურ ვალუტაში და აკორექტირებს 15%-იანი განაკვეთით პერიოდის ბოლოს (2013: 10%). დადებითი რიცხვი გვიჩვენებს ზრდას მოგებაში ან ზარალში, რაც გულისხმობს ქართული ლარის გამყარებას სხვა ვალუტასთან მიმართებით.

ათასი ლარი	ამერიკული დოლარის გავლენა		ევროს გავლენა	
	2014	2013	2014	2013
მოგება ან ზარალი	799	744	10,045	5,585

*საპროცენტო რისკი*

იქიდან გამომდინარე, რომ ჯგუფს აქვს უცხოურ ვალუტაში ნასესხები თანხები, როგორც ფიქსირებული, ასევე მცურავი განაკვეთით, იგი აწყდება საპროცენტო

რისკებს. ჯგუფის მიერ რისკის მართვა ხდება ფიქსირებული და მცურავი საპროცენტო განაკვეთის მქონე სესხებს შორის შესაბამისი ბალანსის დაცვით.

შემდეგი ცხრილი აერთიანებს კონტრაქტით განსაზღვრულ და ეფექტურ საპროცენტო განაკვეთებს:

2013	საშუალო საპროცენტო განაკვეთი	
	კონტრაქტი	ეფექტური
ვალდებულებები		
ამერიკული დოლარი	0.10%	0.10%
ევრო	0.74%	0.74%

2013	საშუალო საპროცენტო განაკვეთი	
	კონტრაქტი	კონტრაქტი
ვალდებულებები		
ამერიკული დოლარი	0.16%	0.16%
ევრო	1.11%	1.11%

მგრძობელობის ანალიზი ჩატარდა საპროცენტო განაკვეთის 1%-იან (2013: 1 %) ცვლილებაზე. მენეჯმენტის შეფასებით 1% წარმოადგენს საპროცენტო განაკვეთის შესაძლო ცვლილებას.

თუ საპროცენტო განაკვეთი გაიზარდა/შემცირდა 1%-თ და ყველა სხვა ცვლადი დარჩა უცვლელი, მაშინ ჯგუფის მოგება 2013 წლის 31 დეკემბრისთვის შემცირდება/გაიზარდება 2,438 ათასი ლარით (2013: შემცირდება/გაიზარდება 591 ათასი ლარით);

**ბ) საკრედიტო რისკი**

საკრედიტო რისკი ნიშნავს იმას, რომ კონტრაქტორი ვერ შეასრულებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ნაკისრ ვალდებულებებს, რის შედეგადაც ჯგუფი მიიღებს ფინანსურ ზარალს. ჯგუფის პოლიტიკის მიხედვით, ურთიერთობას კრედიტუნარიან კონტრაქტორებთან, რის შედეგადაც ამცირებს კონტრაქტორის დეფოლტის რისკს, რათა არ გამოიწვიოს ფინანსური ზარალი. მაქსიმალურ საკრედიტო რისკს წარმოადგენს შემდეგი ფინანსური ინსტრუმენტები:

ათასი ლარი	2014 წლის 31 დეკემბერი	2013 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო მოთხოვნები	1,199	988
ფული საბანკო ანგარიშზე	986	1,458
	<u>2,185</u>	<u>2,446</u>

ჯგუფს რეპორტირების პერიოდისთვის საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი კონცენტრაცია არ ქონდა. ჯგუფმა 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 528 ათასი ლარის ღირებულების ვადაგადაცილებული სავაჭრო მოთხოვნები გააუფასურა (2012 წლის 31 დეკემბერი: 501 ათასი ლარი).

საკრედიტო რისკი საბანკო ანგარიშებთან მიმართებაში უმნიშვნელოა, ვინაიდან აღნიშნული ბაკები წარმოადგენენ კარგი რეპუტაციის მქონე ბანკებს.

**ც) ლიკვიდურობის რისკი**

ლიკვიდურობის რისკი გულისხმობს, ჯგუფის ვალდებულებების გადახდის უუნარობას.

ჯგუფი ასორციელებს ფრთხილ პოლიტიკას ლიკვიდურობის მართვასთან დაკავშირებით, რომელიც გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულის და მისი ექვივალენტების ფლობას, აგრეთვე მაღალი ლიკვიდური აქტივების ფლობას, რათა კომპანიამ დროულად გადაიხადოს ყველა საოპერაციო და სასესო ვალდებულება.

შემდეგი ცხრილი დეტალურად ასახავს არადერივაციული ფინანსური ვალდებულებების გადახდის პერიოდს. ცხრილი შედგენილ იქნა არადისკონტირებული ფინანსური ვალდებულებების არადისკონტირებული ფულადი ნაკადებით, დაფუძნებული უახლოეს თარიღზე, როდესაც შეიძლება ჯგუფის მიმართ მოთხოვნილი იქნას აღნიშნული ვალდებულების გასტუმრება. ცხრილი შეიცავს ფინანსური ნაკადების, როგორც ძირს, ასევე პროცენტს.

2014	საპროცენტო განაკვეთის არმქონე	ცვლადი საპროცენტო განაკვეთით	ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით	მილიანი
საშუალო შეწონილი ეფექტური განაკვეთი		0.83%	4.18%	
6 თვეზე ნაკლები	-	3,546	1,418	4,964
6 თვიდან 1 წლამდე	2,158	3,546	1,278	6,982
1-5 წლამდე	-	32,709	27,840	60,549
5 წელზე მეტი	-	44,640	27,712	72,352
	<u>2,158</u>	<u>84,441</u>	<u>58,248</u>	<u>144,847</u>
2013	საპროცენტო განაკვეთის არმქონე	ცვლადი საპროცენტო განაკვეთით	ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით	მილიანი
საშუალო შეწონილი ეფექტური განაკვეთი		1.27%	3.90%	
6 თვეზე ნაკლები	-	1,706	-	1,706
6 თვიდან 1 წლამდე	1,399	1,706	6,966	10,071
1-5 წლამდე	-	15,354	32,083	47,437
5 წელზე მეტი	-	55,388	25,503	80,891
	<u>1,399</u>	<u>74,154</u>	<u>64,552</u>	<u>140,105</u>

ლიკვიდურობის რისკის მენეჯმენტისთვის, ჯგუფი იყენებს საკუთარ ფინანსურ აქტივებს, მათ შორის ფულად რესურსებსა და სავაჭრო მოთხოვნებს. ჯგუფის ფულადი რესურსები და სავაჭრო მოთხოვნები არის ნაკლები, ვიდრე მისი მიმდინარე საჭიროება ფულად გასაყვლებზე. ჯგუფი განიზრახავს ლიკვიდურობის რისკის მენეჯმენტს, მომავალი რამდენიმე თვის შემოსავლით, აგრეთვე აუთვისებელი სასესო რესურსებით.

## 23 სამართლიანი ღირებულება

ჯგუფი ახდენს ფინანსური ინსტრუმენტების ანალიზს, რომლებიც წარდგენილია სამართლიანი ღირებულებით და ჯგუფდება 1-დან 3 დონემდე. ამ დონეებს წარმოადგენს შემდეგი:

- დონე 1 – სამართლიანი ღირებულება განსაზღვრულია კოტირებული საბაზრო ფასით, რომელიც კოტირდება აქტიურ ბაზარზე;
- დონე 2- სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება კოტირებული ფასებით, რომელიც მოიცავს პირველ დონეს და მსგავსია არსებული აქტივისა ან ვალდებულების
- დონე 3 – სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება შეფასებისგან, რომელიც მოიცავს ისეთ აქტივებს და ვალდებულებებს, რომლებიც ბაზარზე არ კოტირდებიან.

### 23.1 ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა

*ფინანსური ინსტრუმენტები დისკონტირებული ღირებულებით*  
ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების, როგორც აქტივების, ასევე ვალდებულებების საბალანსო ღირებულება უახლოვდება მის დისკონტირებულ ღირებულებას.

სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება საბაზრო საპროცენტო განაკვეთით მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებით. ხელმძღვანელობის შეფასების შედეგად, ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ვარდება ზემოთ ხსენებული დონეების მესამე დონის განსაზღვრებაში.

## 24 კაპიტალური რისკის მართვა

კაპიტალის სტრუქტურა მოიცავს საწესდებო კაპიტალს, აკუმულირებულ ზარალს და სესხებს, რომლებიც აღწერილია შენიშვნა 8-ში.

ხელმძღვანელობა მუდმივად აკვირდება საკუთარი კაპიტალის სტრუქტურას, რომ შეინარჩუნოს ოპტიმალური ბალანსი ვალსა და კაპიტალს შორის. ხელმძღვანელობა მართავს კაპიტალს და ახდენს მის შესაბამის კორექტირებას ეკონომიკური პირობებიდან გამომდინარე. კორექტირებებში გათვალისწინებულია გადახდილი დივიდენდები, გამოშვებული ან გაყიდული წილები ვალების შემცირების მიზნით.

**ქვემოთ მოცემულია, კაპიტალის დაფინანსებასთან კოეფიციენტის გაანგარიშება:**

ათასი ლარი	2014 წლის 31 დეკემბერი	2013 წლის 31 დეკემბერი
მთლიანი კაპიტალი	193,616	180,199
მინუს: ფული საბანკო ანგარიშებზე	(986)	(1,458)
კაპიტალი	192,630	178,741
მთლიანი კაპიტალი	193,616	180,199
სესხები	111,457	102,681
სულ დაფინანსება	305,073	282,880
კაპიტალისა და დაფინანსების ფარდობის კოეფიციენტი	0.6314	0.6319

**25 ვალდებულებები**

**25.1 კაპიტალური ვალდებულებები**

ჯგუფს აქვს დადებული კონტრაქტი ძირითადი საშუალების შესყიდვაზე, ღირებულებით 28,968 ათასი ლარი.

**26 შესაძლო, მოსალოდნელი შემთხვევები, რომლებიც რაიმე პირობის მოხდენის ალბათობაზეა დამოკიდებული**

**26.1 ბიზნეს გარემო**

საქართველო პოლიტიკური და ეკონომიკური ცვლილებების პროცესშია. როგორც განვითარებადი ბაზარი, საქართველო არ ფლობს განვითარებულ ბიზნეს და მარეგულირებელ ინფრასტრუქტურას, რომელიც ძირითადად დამახასიათებელია უფრო თავისუფალი საბაზრო ეკონომიკისათვის. უფრო მეტიც, ეკონომიკური მდგომარეობა ზღუდავს საქმიანობის მოცულობას ფინანსურ ბაზრებზე, რომელიც შეიძლება არ იყოს ასახული ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებებზე. ეკონომიკური განვითარების ძირითად დაბრკოლებას წარმოადგენს, ეკონომიკური და ინსტიტუციონალური განვითარების დაბალი დონე, ცენტრალიზებულ ეკონომიკურ ბაზასთან და რეგიონალურ არასტაბილურობასთან ერთად.

უცხოური კაპიტალის მცირე მოცულობის გამო ქართულ ბიზნესში, იზოლაცია გარკვეული სექტორების დანარჩენ მსოფლიოსთან, მიმდინარე საფინანსო კრიზისი, რომელიც მსოფლიოს მძიმედ შეეხო, საანგარიშგებო პერიოდისთვის არ არის განსაკუთრებით მძიმე საქართველოსთვის.

თუმცა, უფრო მძაფრი საბაზრო სტრესის პირობებში, როგორც საქართველო, ასევე ჯგუფი შეიძლება მოხვდეს კრიზისის გავლენის ქვეშ. შესაძლო ეფექტები შეიძლება იყოს ჯგუფის უუნარობა გადაუხადოს კრედიტორებს, გაუუფასურდეს რეპუტაცია, პრობლემები შეექმნას ფონდების მოძიებისას და ა.შ. ყველა ამ პრობლემამ შეიძლება მნიშვნელოვანი სირთულეები შეუქმნას ლიკვიდურობის თვალსაზრისით, და შეიძლება დადგეს მისი სიცოცხლისუნარიანობის საკითხი. თუმცა, მიუხედავად, იმისა, რომ მსგავსი

მაჩვენებლები მრავლადაა, ხელმძღვანელობას არ შეუძლია გააკეთოს სანდო შეფასება, თუ რომელ აქტივებსა და ვალდებულებებზე ექნება გავლენა.

შესაბამისად, ჯგუფის ფინანსური ანგარიშგებები არ შეიცავს კორექტირებებს, რომელიც შეიძლება ჩათვლილიყო საჭიროდ მიმდინარე მსოფლიო ფინანსური კრიზისის შედეგად.

## 26.2 დაზღვევა

საქართველოს სადაზღვევო სექტორი განვითარების სტადიაზეა და დაზღვევის მრავალი ფორმა ამჟამად არ არის ხელმისაწვდომი. ჯგუფი სრულად ვერ აზღვევს დანადგარებს, ბიზნესის გამართულ მუშაობას, მესამე მხარის მიმართ ვალდებულებებს და ბუნებრივი მოვლენების შედეგად მიღებულ ზიანს. სანამ ჯგუფი ადეკვატურად დაეზღვევა, არის რისკი რომ, ზარალი ან აქტივების დაზიანება მატერიალურ ზარალს მიაყენებს ჯგუფის ფინანსურ და საოპერაციო მდგომარეობას.

## 26.3 აქტივები აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე

ჯგუფის ძირითადი საშუალებები როგორცაა: ნაგებობები, ელექტროგადამცემი ხაზები და სხვა აღჭურვილობა წარმოდგენილია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე, რომლებზეც ჯგუფს აქვს შეზღუდული კონტროლი.

თუმცა, კომპანია ახორციელებს აფხაზეთის ტერიტორიაზე მყოფი აქტივების ექსპლუატაციას და გამოიმუშავებს შემოსავალს, მიუხედავად ამისა, არსებობს საშიშროება კონფლიქტის მიმდინარე სტატუსმა საფრთხეში ჩააგდოს ზემოთ აღნიშნული აქტივები.

## 26.4 გადასახადები

საქართველოს საგადასახადო სისტემა ხასიათდება სწრაფი ცვლილებებით, რომელიც ძირითადად დაკავშირებულია განმარტებების ცვლილებებთან. ხშირია შემთხვევები, როცა განმარტებები განსხვავდება ერთმანეთისგან. საგადასახადო კანონმდებლობა გადახედვას გადის საგადასახადო წარმომადგენლების მიერ, რომლებიც უფლებამოსილი არიან კანონით დაარეგულირებულ ჯარიმები და საურავები.

ზემოთ ხსენებული ფაქტის გამო წარმოიშობა საგადასახადო რისკი, რომელიც ახასიათებს განვითარებად ქვეყნებს. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ადეკვატურად წარადგენს საგადასახადო ვალდებულებებს, ყველა მოთხოვნასა და განმარტებასთან შესაბამისად. თუმცა, შესაძლოა, რომ განსხვავებული განმარტების შემთხვევაში ეფექტი იქონიოს კომპანიის წარდგენაზე.

## 27 დაკავშირებული მხარეები

ჯგუფის დაკავშირებულ მხარეებს წარმოადგენს მისი მფლობელი, ძირითადი ხელმძღვანელობა და სხვა დანარჩენი, სახელმწიფო მფლობელობაში არსებული კომპანიები.

### 27.1 საკონტროლო ურთიერთობები

ჯგუფის მთავარ მაკონტროლებელ მხარეს წარმოადგეს საქართველოს მთავრობა, რომელიც წარმოდგენილია საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროსა და ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროს სახით.

### 27.2 დაკავშირებულ მხარეებთან ტრანზაქციები

რეპორტირების პერიოდისთვის ტრანზაქციები და ბალანსები წარდგენილია ქვემოთ:

ათასი ლარი ტრანზაქციები	2014 წლის 31 დეკემბერი	2013 წლის 31 დეკემბერი
პირდაპირი მაკონტროლებელი ორგანო (საქართველოს მთავრობა)		
შემოსავალი გრანტების ამორტიზაციიდან	208	208
საპროცენტო ხარჯი სესხებზე და რესტრუქტურისებულ გადასახადებზე	253	1,573
ხელმძღვანელი პირები		
ხელფასები და ბონუსები	665	576
ათასი ლარი ბალანსები პერიოდის ბოლოს		
პირდაპირი მაკონტროლებელი ორგანო (საქართველოს მთავრობა)		
სესხები	111,457	102,681
გრანტი დაკავშირებული აქტივებთან	13,925	11,000

### 28 სამომავლო ფუნქციონირების საკითხი

ჯგუფის ფინანსური ანგარიში მომზადებულია ჯგუფის ფუნქციონირების განაგრძობითობის საფუძველზე (on a going concern basis).

ჯგუფი წლების განმავლობაში გადიოდა ზარალზე, რის შედეგადაც 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დაგროვილმა ზარალმა შეადგინა 14,302 ათასი ლარი (2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 25,757 ათასი ლარი). მიმდინარე პერიოდში არსებული მოგება გამოწვეულია ერთჯერადად ტენდერში გამარჯვებული ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც 2015 წელს არ იქნა გაგრძელებული. თანახმად ბრძანებისა №77 - “ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბაზრის წესებისა” - აფხაზეთის ტერიტორიაზე ელექტრო ენერჯის მიწოდება ხორციელდება კომპანიის ჰიდროელექტროსადგურებიდან ელექტროენერჯის (სიმძლავრის) დამტკიცებული საპროგნოზო ბალანსის მოცულობის მიხედვით, ჯგუფი განაგრძობს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ელექტრო ენერჯის უზრუნველყოფას კომპენსაციის გარეშე. დამატებითად, ჯგუფს გააჩნია ვალდებულებები გადაიხადოს არსებული სესხები და შეასრულოს სარებილიტაციო სამუშაოები.

ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, 2015 წლის 18 მაისს, ხელმძღვანელობამ მიმართა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, სადაც არსებული პრობლემის გადაწყვეტის რამოდენიმე ალტერნატივას სთავაზობს:

- საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკი) მიერ დადგენილი ტარიფი გაიზარდოს. ტარიფის გაანგარიშებაში გათვლისწინებული იყოს აფხაზეთის ტერიტორიაზე მიწოდებული ელექტროენერჯის კომპენსაცია და მიწოდების შედეგად წარმოქმნილი ხარჯებიც.
- გაიზარდოს ელექტროენერჯის ტარიფი და გადაიხედოს მისი გაანგარიშების წესი. 2006 წლის 18 მაისით დათარიღებული სემეკის დადგენილების თანახმად, კომპანიის ელექტრო ენერჯის ტარიფი 0.0213 ლარიდან შემცირდა 0.01187 ლარამდე. შემცირება გამოწვეული იყო, მშობელი კომპანიის სასესხო ვალდებულებების 31,876 ათასი ლარის პატიების შედეგად (იხილეთ შენიშვნა 8.2), რომლის შემდგომაც მშობელ კომპანიას დაეკისრა წლიური კომპენსაცია 11,663 ათასი ლარის ოდენობით ესადა საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროსთვის. სასესხო ვალდებულებების პატიების შედეგად ანაზღაურებული კომპენსაცია მშობელმა კომპანიამ სრულად დაფარა 2009 წლისთვის, თუმცა ტარიფის კალკულაციის გადახედვა არ მომხდარა.
- ჯგუფი აღნიშნულ წერილში მიმართავს საქართველოს მთავრობას, გაათავისუფლოს არსებული სასესხო ვალდებულებებისგან (EBRD და EIB) და მთავრობამ მოახდინოს მათი რეკლასიფიკაცია საწესდებო კაპიტალში.

ამჟამად, ჯგუფის არსებული ფინანსური მდგომარეობის გამოსწორების მიზნით, ხელმძღვანელობას არ გააჩნია საქართველოს მთავრობის მხრიდან გადაწყვეტილება, თუმცა ხელმძღვანელობა აქტიურად ურთიერთობს საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროსთან. უნდა აღინიშნოს, რომ თუ არსებული საკითხი დროულად არ გადაწყდება, ჯგუფის მომავალში ფუნქციონირება შესაძლოა ეჭვქვეშ დადგეს და ჯგუფის ფინანსური ანგარიში შესაძლოა გადასახედიც გახდეს.





**Grant Thornton**

[www.grantthornton.ge](http://www.grantthornton.ge)